პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

1981 წელი პარასკევი 20 თებერვალი № 42 (17984) ფასი 2 კაპ.

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ— ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР



მოსკოვი დღეს. კრემლში ვ. ი. ლენინის ძეგლთან.

ვ. ეგოროვის ფოტო (საკდესის ფოტოქრონიკა).

## კომუნისტის მაღალი წოდება

ჩვენი სამშობლოს დედაქალაქში 28 თებერვალს გაიხსნება სკკპ XXVI ყრილობა. ყრილობის დელეგატებმა უნდა შეაჯამონ საანგარიშო პერიოდში გაწეული დიდი მუშაობის შედეგები, დასახონ კომუნისტური აღმშენებლობის მომავალ ეტაპზე ბრძოლის სტრატეგია და ტაქტიკა.

ყრილობის დელეგატები არიან პარტიის საუკეთესოთა შორის საუკეთესო შვილები, მისი საუკეთესო ნაწილი, მისი სიამაყე. დავასახელებთ მხოლოდ რამდენიმე მათგანს: ივანოვოელი მქსოველი ვ. გოლუბევა და აკადემიკოსი გ. პატონი, ცნობილი მხვნელ-მთესველი ტ. მალცევი, რუსთაველი მეფოლადე უ. ივანიაშვილი. რით დაიმსახურეს მათ ესოდენ დიდი ავტორიტეტი პარტიაში, შრომით კოლექტივებში? უწინარეს ყოვლისა, იმით, რომ საერთო საქმეს ახმარენ მთელ თავიანთ ძალ-ღონეს, ცოდნას, გამოცდილებას, განასახიერებენ კომუნისტ-ლენინელთა საუკეთესო თვისებებს.

პარტიაში შესვლას რომ მოუწოდებდა მოწინავე მუშებსა და გლეხებს, ვ. ი. ლენინი წერდა: „ჩვენ არ გპირდებით რაიმე სარგებელს, ჩვენ მოგიხმობთ ძნელი საქმისათვის, სახელმწიფო მშენებლობის საქმისათვის. თუ თქვენ კომუნიზმის გულწრფელი მომხრე ხართ, თამამად შეუდექით ამ საქმეს, ნუ შეუშინდებით მის სიახლესა და სიძნელეებს“... გავიდა ათწლეულები, ბევრად გაიზარდა და განმტკიცდა, რთული სოციალურ-ეკონომიკური და იდეურ-აღმზრდელობითი ამოცანების გადაწყვეტის კოლოსალური გამოცდილებით გამდიდრდა პარტია, მაგრამ კომუნისტთა უცვლელი ცხოვრების წესი იყო, არის და იქნება ლენინის დარიგება — იყონ მუდამ წინ, თამამად გაჰყავდეთ გზა ახალი მწვერვალებისაკენ.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია, რომელიც იცავს ლენინის ანდერძს, დღენიადაგ ზრუნავს იმისათვის, რომ კიდევ უფრო მაღლა ასწიოს პარტიის წევრის წოდება. ამ საქმეში დიდმნიშვნელოვანი როლი შეასრულა დამთავრებულმა საანგარიშო-საარჩევნო კამპანიამ. კრებებსა და კონფერენციებზე, მოკავშირე რესპუბლიკების კომპარტიების ყრილობებზე კმაყოფილებით აღნიშნეს, რომ განვლილ წლებში გაუმჯობესდა პარტიული რიგების თვისებრივი შემადგენლობა, პარტორგანიზაციებში სულ უფრო მტკიცედ მკვიდრდება ურთიერთმომკითხველობის, კომუნისტთა ყოველდღიური საქმეებისადმი, ახალი პარტიული შევსების შერჩევისა და აღზრდისადმი მომთხოვნელი მიდგომის ვითარება. მეტი ყურადღება ეთმობა პარტიის წევრთა და წევრობის კანდიდატთა მარქსისტულ-ლენინურ სწავლებას, პოლიტიკურ და ზნეობრივ წრთობას, უფრო მკაცრად სთხოვენ იმათ, ვინც არღვევს სკკპ წესდებას, იჩენს უდისციპლინობას, პასიურობას.

კომუნისტების საწარმოო და საზოგადოებრივი აქტიურობის განვითარებაზე კარგ გავლენას ახდენს შინაპარტიული დემოკრატიის თანამიმდევრული განვითარება, ხელმძღვანელობის, კოლექტიურობის, შესრულების კონტროლისა და შემოწმების, პარტიული მუშაობის ყველა ფორმისა და მეთოდის სრულყოფა. ანგარიშგება-არჩევნებმა, რომლებიც არა მარტო არჩევითი აქტივის, არამედ ყველა კომუნისტისათვის დიდ სკოლად იქცა, ცხადყო გაზრდილი პრინციპულობა შეძენილი გამოცდილების, არსებულ ნაკლოვანებათა ანალიზის დროს, უნარი — წარმატებებსა და შეცდომებს ხედავდნენ დაკისრებული საქმისადმი ადამიანთა დამოკიდებულების, თავისი ორგანიზაციისა და მთლიანად პარტიის ავტორიტეტისათვის პასუხისმგებლობის პრიზმით.

„არ უნდა დავივიწყოთ, — თქვა სკკპ XXV ყრილობის ტრიბუნიდან ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა, რომ ყოველი კომუნისტი უნდა იყოს პარტიის მაღალიდეური, აქტიური მებრძოლი, მეწინავე კომუნიზმის მშენებელთა რიგებში“.

იყო მებრძოლი, მეწინავე, ნიშნავს იბრძოდე პარტიისა და ქვეყნის წინაშე დასახული ამოცანების უთუო შესრულებისათვის, როგორც საკუთარი ღვიძლი საქმისათვის. ეს ნიშნავს, სადაც უნდა მუშაობდე, რა თანამდებობაც უნდა გეკავოს, იძლეოდე დისციპლინის, სიმტკიცისა და შემოქმედებითი ინიციატივის მაგალითს.

კომუნისტების შეგნებაში შერწყმულია ცნებები „ჩემი“ და „ჩვენი“. მათი ცხოვრება მთლიანად ეკუთვნის პარტიასა და ხალხს. მათს მაგალითს უდიდესი დამრაზმველი, აღმზრდელობითი ძალა აქვს, სხვებსაც აღუძრავს სურვილს — მიაღწიონ მეტს, მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანონ საერთო წარმატებაში. განსაკუთრებით მკაფიოდ ვლინდება ეს მომავალი ყრილობის ღირსეული შეხვედრისათვის, მეთერთმეტე ხუთწლედის პირველი წლის დავალებების, შემხვედრი გეგმებისა და ვალდებულებების მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებისათვის გაჩაღებული სოციალისტური შეჯიბრების დროს. შეჯიბრების უფართოეს გაქანებას, მის საბრძოლო ხასიათს გამსაზღვრელ წილად უზრუნველყოფს კომუნისტების თავდადებული და მიზანმიმართული მოქმედება.

პარტია მტკიცედ აცხადებს: ოთხმოციან წლებში იგი თანამიმდევრულად განაგრძობს თავისი ეკონომიკური სტრატეგიის განხორციელებას, რომლის უმაღლესი მიზანია ხალხის კეთილდღეობა. კომუნისტებს ნათლად აქვთ შეგნებული, რომ ხალხის მატერიალური და კულტურული დონის განუხრელი ამაღლება, პიროვნების ყოველმხრივი განვითარების საუკეთესო პირობების შექმნა შეიძლება მხოლოდ წარმოების ეფექტიანობის შემდგომი ამაღლების, ადამიანთა სოციალური და შრომითი აქტიურობის ზრდის საფუძველზე. სწორედ ამ მიმართულებებით წარმართავენ ახლა პარტიელები შრომითი კოლექტივების მეცადინეობას, იძლევიან შემოქმედებითი მაღალნაყოფიერი მუშაობის, რეზერვების დაუღალავი ძიების ნიმუშებს.

ამასთან პირადი რეკორდები თვითმიზანი როდია. კომუნისტებს აფიქრებთ ის, რომ გვერდით არ ჰყავდეთ ჩამორჩენილები, ხოლო ნოვატორთა მიღწევები ფართოდ გავრცელდეს. სახელისათვის კი არა, საერთო ინტერესებისათვის ისინი იჩენენ პატრიოტულ თაოსნობას და პირველნი უჭერენ მხარს ახალს, მოწინავეს, პირველნი ილაშქრებენ დოყლაპიობის, უყაირათობის, ლაყბობისა და მოჩვენებითობის წინააღმდეგ. პარტიის იდეების, საბჭოთა ცხოვრების წესის მგზნებარე პროპაგანდისტები და გამტარებლები, ისინი ძლიერი არიან სიტყვისა და საქმის ერთიანობით, ზრახვების სიწმინდით, მაღალზნეობრივი ქცევით და მოქალაქეობრივი მოვალეობისადმი ერთგულებით.

გამოცდილება დამაჯერებლად მოწმობს: კომუნისტის მეცადინეობა მით უფრო მეტ უკუგებას იძლევა, რაც უფრო მომთხოვნელად ეკიდება იგი საკუთარ თავს. პარტიისადმი ერთგულებას, იდეურ სიმწიფეს ხმამაღალი დაპირებების კი არა, კონკრეტული ყოველდღიური საქმეების მიხედვით აფასებენ. როგორიც საქმეა, ავტორიტეტიც ისეთია! არა მარტო შენი, პირადი, არამედ შენი პარტორგანიზაციისა, მთელი პარტიის ავტორიტეტიც.

კომუნისტებს, ისევე როგორც ყველა საბჭოთა ადამიანს, აღაფრთოვანებს ჩვენი წარმატებები კომუნისტურ მშენებლობაში. მაგრამ მათ როდი სჩვევიათ დასჯერდნენ მიღწეულს, მიეცნენ განცხრომას, შორეთს იქით შორეთია, მიჯნის იქით მიჯნა! ასე უკარნახებს პარტიელს მისი მოვალეობა და ღირსება, მაღალი წოდება. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის, ყველა რგოლის მებრძოლურობაზე, ყოველი კომუნისტის ინიციატივასა და პასუხისმგებლობაზე დამოკიდებულია ქვეყნის წარმატებული ეკონომიკური და სოციალური განვითარება მეთერთმეტე ხუთწლედში.

17 მილიონზე მეტ მებრძოლს აერთიანებს ლენინური პარტია, საბჭოთა ადამიანებმა იციან: სადაც არიან პარტია და კომუნისტები, იქ არის წარმატება, იქ არის გამარჯვება.

«ПРАВДА»
19 თებერვლის მოწინავე

## მიფრინავს „კოსმოს-1246“

1981 წლის 18 თებერვალს საბჭოთა კავშირში გაუშვეს დედამიწის მორიგი ხელოვნური თანამგზავრი „კოსმოს-1246“.

თანამგზავრზე დადგმული სამეცნიერო აპარატურა ნორმალურად მუშაობს და განაგრძობს კოსმოსური სივრცის კვლევას. საკოორდინაციო-გამოთვლითი ცენტრი ამუშავებს მიღებულ ინფორმაციას.

(საკდესი).

## მოსკოვი — ყრილობის მოლოდინში

რეპორტაჟი

ლალისფრად ელავენ ჩვენთვის ბავშვობიდან ესოდენ ნაცნობი ქონგურების ვარსკვლავები. მაგრამ თვით მათი სიმაღლიდანაც კი ვერ მოავლებ თვალს დიადი სამშობლოს ქალაქებსა და სოფლებს, საიდანაც ჩამოდიან დელეგატები პარტიის XXVI ყრილობაზე.

„მობრძანდით ჩვენთან, მოსკოვს, ძმებო!“ — ასე აღინიშნა პირველად იპატიევის 830 წლის წინანდელ მატიანეში საბჭოეთის მომავალი დედაქალაქის სახელი. დღეს მოსკოვის ვ. ი. ლენინის, გორკის, ლენინგრადის, კუტუზოვის, მშვიდობის, რუსთაველის, ფალიაშვილის სახელობის ფართო ქუჩები და მაგისტრალები საზეიმოდ გამოწყობილნი ეგებებიან მრავალრიცხოვან სტუმრებს.

ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ მოსკოვი რევოლუციის რეალურ სიმბოლოდ გადაიქცა მსოფლიოს ყველა ხალხისთვის. მოსკოვმა შეისისხლხორცა ყოველივე კარგი და კეთილი, რისთვისაც იბრძოდა და რაზეც ოცნებობდა კაცობრიობა ასეული წლების განმავლობაში. ამიტომ არის მოსკოვის სახელი ინტერნაციონალური, ამიტომ არის, რომ მოსკოვის ვარსკვლავების ფერთა კაშკაშმა დაიტია მსოფლიოს ხუთივე კონტინენტის პროგრესულად მოაზროვნე ადამიანების მისწრაფებები, მიზნები და იდეალები.

რევოლუციის, ოქტომბრის და სოციალიზმის გარეშე არასდროს არ იქნებოდა მოსკოვი ასეთი — განსაკუთრებული, ბედნიერი და ამაყი და ქედუხრელი ქალაქი...

სიმბოლურია ის ფაქტი, რომ მოსკოვის ცენტრალურ არტერიას — გორკის პროსპექტს შიგ შუა გულში ეხვევა და კვეთს ქუჩა ბოლშაია გრუზინსკაია. რამდენი რამ ახსოვს ამ ქუჩას! ამ ქუჩით დადიოდნენ დიდი მწიგნობარი არჩილ მეფე, რუსეთის არტილერიის პირველი გენერალ-ფელცვეიხმაისტერი ალექსანდრე ბაგრატიონი, დიდი გეოგრაფი ვახუშტი, ბაქარი, სულხან-საბა ორბელიანი... აქ, მოსკოვს, იბეჭდებოდა ქართული წიგნები... აქვე, ერთ მყუდრო, წყნარ ხეივანში დგას შოთა რუსთაველის ძეგლი... აქ ივლისის ცხელ დღეებში შოთას „ვეფხისტყაოსანს“ კითხულობენ მოსკოველები...

რამდენიმე დღის წინათ აქვე, კრასნაია პრესნიას რაიონში საზეიმოდ გაიხსნა მემორიალური ძეგლი 1905 წლის რევოლუციის გმირთა პატივსაცემად.

თავის რუს ძმებთან ერთად თავისუფლებასა და რევოლუციისათვის იბრძოდნენ ქართველთა მებრძოლი რაზმები, რომელთა შემართებამ და გმირობამ წარუშლელი კვალი დატოვა რევოლუციის სახელოვან მატიანეში...

ხატოვნად რომ ვთქვათ, მოსკოვი წითელი მოედნით იწყება... ყრილობის გახსნის წინა დღეებში გაზაფხულის ცისარტყელას ათასი ფერით ბრწყინავს წითელი მოედანი, აქ, ვ. ი. ლენინის მავზოლეუმის გვერდით, კრემლის წითელ გალავანთან განისვენებენ სოციალიზმისათვის თავდადებული რაინდები, მათ შორის ქართველი ხალხის შვილებიც. მოსკოვი არასდროს არ დაივიწყებს მათ სახელებს.

მანეჟის მოედანზე გახსნილ ექსპოზიციაში, რომელშიც საბჭოთა სახვითი ხელოვნების ცნობილი ოსტატების 1500-ზე მეტი ნამუშევარია თავმოყრილი, წარმატებით არის წარმოდგენილი ჩვენი რესპუბლიკის სამხატვრო სკოლა. გამოფენა ეძღვნება პარტიის XXVI ყრილობას და ტარდება დევიზით „ჩვენ კომუნიზმს ვაშენებთ!“ საქართველოს მხატვართა ნამუშევრები საოცარ ხალიჩას ჰგავს თავისი ფერად-ფერადი მარგალიტებით, ეშხით და სიკოხტავით: შრომისადმი მიძღვნილი ჰიმნი, ჩვენი დღევანდელი გამარჯვებები და წარმატებები, მოწინავე ადამიანები, რომლებმაც შორს გაუთქვეს სახელი რესპუბლიკას, კომუნიზმის გიგანტური მშენებლები და გმირული წარსული — აი ქართველ მხატვართა ნაწარმოებების თემები. მნახველნი დიდხანს ჩერდებიან ზ. ნიჟარაძის, კ. იგნატოვის, მ. ლობჟანიძის, ვ. კანდელაკის, გ. შხვაცაბაიას, ზ. გოლავას, გ. თოიძის, ტ. დევდარიანის, გ. ალექსი-მესხიშვილის და სხვათა ნამუშევრებთან.

ყრილობის გახსნის წინა დღეებში მხატვართა კავშირის დარბაზი დაეთმო ცნობილი ქართველი მხატვრის, თანამედროვე გობელენის ოსტატის გ. ყანდარელის ნამუშევრებს.

თავისებური ეშხი და სილამაზე შეემატა ლენინგრადის პროსპექტზე მოთავსებულ საჰაერო ვაგზალს. მის შუაგულში მეტად ორიგინალურად არის მოთავსებული თვითმფრინავის ფუზელაჟი, სადაც განლაგებულია საბილეთო სალაროები, საჰაერო ბარგის გადაზიდვის ტევადი საკნები და სხვათა სათავსები. აქ ბრწყინვალედ არის გადაჭრილი თანამედროვე მხატვრული ტექნიკის შეთავსება დიდ სივრცეებთან და მასშტაბებთან, რაც მსოფლიოს უმაღლესი სტანდარტის დონეზეა აყვანილი (მხატვარი — საბჭოთა კავშირის სახალხო მხატვარი, ლენინური და სახელმწიფო პრემიების ლაურეატი ზ. წერეთელი, არქიტექტორი — გ. აჯიაშვილი).

მოსკოვის ხელოვნების მუშაკთა ცენტრალური სახლის სცენაზე სოხუმის ს. ჭანბას სახელობის აფხაზურმა დრამატულმა თეატრმა, რომელიც საპატიო ნიშნის ორდენით დაჯილდოვდა და XXVI ყრილობის წელს თავისი დაარსების 50-ე წლისთავის აღსანიშნავად ემზადება, მოსკოველებს უჩვენა სოფოკლეს „ელექტრა“. სტუმრებს მიესალმა მწერალი ვ. ჩიჩკოვი, საპასუხო სიტყვა წარმოთქვა აფხაზეთის ასსრ კულტურის მინისტრმა ა. არგუნმა.

დიდი წარმატება ხვდა კონსერვატორიის დიდ დარბაზში გამართულ ვოკალურ საღამოს საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტის, თბილისის ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრის სოლისტის ლამარა ჭყონიას მონაწილეობით. ქართველმა მსახიობმა ჩვეული ბრწყინვალებით შეასრულა მოცარტის, ადანის, ჩაიკოვსკის, ბელინის, ვერდის და სხვათა ნაწარმოებები.

საქართველოს სახელმწიფო აკადემიურ ცეკვის ანსამბლს კარგად იცნობენ მოსკოვში და მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში. ახლა ანსამბლი, რომლის მხატვრული ხელმძღვანელები არიან საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტები ნ. რამიშვილი და ი. სუხიშვილი, მოსკოვშია და ემზადება მონაწილეობა მიიღოს ყრილობისადმი მიძღვნილ დიდ საზეიმო კონცერტში. ქართველი მოცეკვავეები ყრილობის მონაწილეებს უჩვენებენ ახალ ქორეოგრაფიულ სიუიტას „ზეიმი საქართველოში“, რომლის მუსიკა სპეციალურად პარტიის XXVI ყრილობისათვის დაწერა საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტმა, კომპოზიტორმა ო. თაქთაქიშვილმა. ნაწარმოები ხოტბას ასხამს ჩვენი რესპუბლიკის ადამიანების შრომით მიღწევებსა და გამარჯვებებს მეათე ხუთწლედში.

ამ სტრიქონების ავტორებმა მსოფლიოს 53 ქვეყნის 760 ჟურნალისტთან ერთად ეს-ეს არის მიიღეს სკკპ XXVI ყრილობის პრეს-ცენტრის სააკრედიტაციო კოხტა, კრიალა ბარათები. ყრილობის დღეებში ჟურნალისტებს სამუშაო ძალიან ბევრი გვაქვს. შეუძლებელია დღევანდელ კორესპონდენციაში ყველაფრის გადმოცემა, განსაკუთრებით კი იმ ატმოსფეროსი, რომელიც დღეს საქართველოს დედაქალაქში სუფევს.

ორშაბათ დილით მსოფლიოს კომუნისტური მოძრაობის რჩეულ წარმომადგენლებთან ერთად ჩვენი რესპუბლიკის წარგზავნილებიც დაიკავებენ ადგილს კრემლის ყრილობათა სასახლეში.

მოსკოვი მოლოდინშია!

**დ. მაჭავარიანი,**
**ვ. მჭედლიშვილი,**
გაზეთ „კომუნისტის“ სპეც. კორესპონდენტები.
ქ. მოსკოვი.

## დიდ ფორუმზე გამგზავრების წინ

ეს ტრადიციაა. აქ, საქართველოს დედაქალაქის მთავარ მოედანზე, რომელიც ვ. ი. ლენინის სახელობისაა, დიდი დღესასწაულებისა და პარტიისა და ხალხის ცხოვრებაში მომხდარი ღირსშესანიშნავი მოვლენების დღეებში იკრიბებიან ქალაქის მშრომელები. ისინი აქ მოდიან, რათა გვირგვინებითა და თაიგულებით შეამკონ მსოფლიოში პირველი სოციალისტური სახელმწიფოს ბელადისა და დამაარსებლის ძეგლი, გამოხატონ ოქტომბრის იდეალებისადმი, მშობლიური საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის იდეალებისადმი ერთგულება.

19 თებერვალს, მოსკოვში სკკპ XXVI ყრილობაზე გამგზავრების წინ, აქ შეიკრიბნენ ქვეყნის კომუნისტთა უმაღლესი ფორუმის დელეგატები საქართველოს პარტიული ორგანიზაციისაგან. ესენი არიან გმირი მუშათა კლასის, სახელოვანი კოლმეურნე გლეხობის, შესანიშნავი მშრომელი ინტელიგენციის საუკეთესო წარმომადგენლები, საბჭოთა არმიის მეომრები, პარტიული მუშაკები — ისინი, ვისაც მხარს უსწორებს, ვისგანაც იღებს მაგალითს აღმშენებელთა დღევანდელი თაობა.

.. 12 საათია, გრანიტის კვარცხლბეკთან იცვლება საპატიო ყარაული. მოედანზე ჟღერს უკვდავი „აპასიონატა“. სკკპ XXVI ყრილობის დელეგატები გვირგვინით ამკობენ რევოლუციის ბელადის ძეგლს. ალისფერ ლენტზე წარწერილია: „ვ. ი. ლენინს სკკპ XXVI ყრილობის დელეგატებისაგან“.

იმავე დღეს პარტიის XXVI ყრილობაზე რესპუბლიკის კომუნისტთა წარგზავნილები ესტუმრნენ ბ. ძნელაძის სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა რესპუბლიკურ სასახლეს, სადაც მათ პატივსაცემად გაიმართა კონცერტი.



## კოლექტივი დელეგატს აცილებს

ხელვაჩაურის რაიონის სოფელ ერგეს ლენინის სახელობის კოლმეურნეობის მშრომელებმა მოსკოვში სკკპ XXVI ყრილობის დელეგატად გააცილეს მეჩაიეთა მერგოლური გუგული ჭანიძე. გზის დალოცვასთან ერთად დაავალეს, მოახსენოს კომუნისტთა სრულიად საკავშირო ფორუმს, რომ მეჩაიეთა საუკეთესო რგოლი მეთერთმეტე ხუთწლედის პირველ წელს შეასრულებს ვალდებულებას, რომელიც სკკპ XXVI ყრილობის აღსანიშნავად იკისრა, და სამშობლოს მიჰყიდის ხარისხოვანი ფოთლის რეკორდულ მოსავალს.

სოციალისტური შრომის გმირი, აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი გუგული ჭანიძე დამსახურებული ავტორიტეტით და პატივისცემით სარგებლობს. მისმა რგოლმა გასულ ხუთწლედში სახელმწიფოს ჩააბარა 300 ტონა პირველხარისხოვანი ჩაის ფოთოლი, გეგმით გათვალისწინებული 250 ტონის ნაცვლად.

სოფელი არ ჰგავს ქალაქს: მთელ შენს ცხოვრებას, მთელ საზრუნავს და სიხარულს ყველა ხედავს, — ხშირად ამბობს გუგული ჭანიძე. მით უფრო დასაფასებელია კომუნისტის სიტყვა, როცა იგი განმტკიცებულია პირადი მაგალითით. გ. ჭანიძემ თავის ნაკვეთზე მოკრიფა ყველაზე მეტი ფოთოლი, რომელიც მთლიანად პირველი ხარისხისა იყო.

სურათზე: ლენინის სახელობის კოლმეურნეობის მეჩაიეები ყრილობაზე აცილებენ სოციალისტური შრომის გმირს, აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატს გუგული ჭანიძეს.

ნ. ანასტასიევის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

## საპატიო ჯილდო გადაეცათ

„საქსამთოქიმმრეწვის“ საკავშირო გაერთიანების კოლექტივმა წარმატებით შეასრულა პროდუქციის მოპოვების, გამოშვებისა და რეალიზაციის მეათე ხუთწლედის დავალება.

მიღწეული წარმატებებისათვის გაერთიანება დაჯილდოვდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოსა და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშით, აგრეთვე საპატიო ნიშნით „მეათე ხუთწლედში მუშაობის მაღალი ეფექტიანობისა და ხარისხისათვის“ და შეტანილია სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენის სრულიად საკავშირო საპატიო დაფაზე.

გაიმართა დროშის საზეიმო გადაცემა.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოსა და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის სახელით სსრ კავშირის მინერალური სასუქების წარმოების მინისტრის მოადგილემ რ. პერმიაკოვმა გულთბილად მიულოცა შეკრებილთ და მათი სახით საქართველოს ყველა სამთო ქიმიკოსს საპატიო ჯილდო, უსურვა კოლექტივს უწინდებურად დარჩეს დარგის მოწინავე წარმომადგენელთა ავანგარდში.

საზეიმო კრებას ესწრებოდნენ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ვ. ვადაჭკორია, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მრეწველობის განყოფილების გამგე ბ. მახარაშვილი, „საქსამთოქიმმრეწვის“ საკავშირო გაერთიანების უფროსი ა. კოჟევნიკოვი. (საქინფორმი).

კარლო კალაძე

## საყრილობო

### მოსკოვი. ვნუკოვოს აეროპორტი. ჩვენს წარგზავნილებს

მოსკოვის, ჩვენი დედაქალაქის
ეს წუთიც, ახლა გვეამაყება.
და ერთ სიცოცხლედ განა არა ღირს
იმ თვითმფრინავის კარის გაღება,
რომლითაც თითქოს გაზაფხულმა
ცას გადაასწრო —
ისე ხართ თოვლში გაშლილ ფრთებით
გადახატული.
და ქარმა თქვენი გაღიმება
განა დააზრო —
თოვლშიც გულდაგულ გზას მიიკვლევს
თქვენი ქართული.
თვითმფრინავს მინდა დავაწიო
მე ეს ფურცელი
და ჩემს მოლოდინს შორიდანვე
რომ ვაკვირდები
თებერვლის ქარმაც მაპატია
ფიქრი გულწრფელი;
ცად ჩიტებს ფრთები გაუშალა,
ხეებს კვირტები!
ჩვენს მთა-გორებზე განა ერთი
გზა დაქსელილა,
მე იქ შევავლე თვალი ჩემი
ხალხის რჩეულებს
და სიტყვაც მათზე სიყვარულმა
დამაწერინა
მე ულექსობა მაღონებს
და მაჭირვეულებს.
წუთი კიდევ და დღეც გაბრწყინდება
საამირანო და საარსენო,
არ მომწყინდება, არ მომწყინდება
ის ჩემს რჩეულებს რომ გავახსენო.
ვერც შემოდგომას გავიმეტებ
დასაფურცვლელად! —
იმავ წუთების სურათია,
იმავ გულისთქმის...
ზოგჯერ უბრალო, ზოგჯერ მკაცრი,
მაგრამ უცვლელად
მინდა ჩემს ზამთარს დარჩეს
ახალ სიყვარულისთვის.

●●

### მზე

საქართველოში მზე დადის
და თან სიმღერა დაჰყვება,
ღამეც გაბრწყინდა იმგვარად —
ავთვალს არ დაენახება!
საქართველოში ზამთარშიც
არის მოსავლის აღება!

კვლავაც რტო-გაშლით მოილხენს
ზღვის-კიდე ნარგავ-ნათესი.
ცაშიაც დაჰკრეფს ვარსკვლავებს,
ვინც არის უმამაცესი —
გულმკერდის დასამშვენებლად
ფიც-ვერცხლს არცა აქვს სხვა წესი!

საქართველოში მზე დადის
და რა ხმა გასწვდეს, რა ქება, —
ცას გაჩაღება ახარებს
და მთა-ბარს გავენახება!
მასპინძელს ლაღი სტუმარი,
ბაღ-მარანს კარის გაღება!

საქართველოში მზე დადის!...

●●

### ცისკაცის სიმღერა

მაინც რაა!.. რა ასეთი ოცნებაა
საქართველო!
ვნახე ქვეყნის დასავლეთი,
ათასფერი მთა და მდელო...

ახლაც მხიბლავს გარიჟრაჟი,
მისებრ შორი, მისებრ ღია —
აღმოსავლეთს დახვდა ცაში,
ისე — რომ არ მიძებნია.

მრავალ ახალ ქალაქების,
მრავალ ზღვათა მღელვარება —
როგორც ჟინი ამაღლების —
მიყვარს კვლავ, და, მეყვარება!

აღარ მყოფნის დაბა-სოფლის
ხმელეთი და მდინარეთი.
აღარ მყოფნის ხეთა მწყობრის
გუმბათი და მინარეთი!

ამ ღრუბლების ახლო-მახლო,
ფრთებს რომ შლიან შევარდნები —
გაჩნდა ჩემი სამოსახლო, —
თურმე ვის არ ენატრები!

ცა რომ გავსჭრა დღისით, მზისით,
ან ღრუბლების ამბოხება —
სადაც მე ვარ, უმალ ისიც
ჩემს ოცნებას ამოჰყვება!

ეძებს სამხრეთს ჩრდილოეთი —
ღამე შინ რომ გავათენო..
გულს ჰგონია შინ მოვედი და
შინ დამხვდა საქართველო!

ყველგან, ყველგან სადაც მე ვარ,
სადაც მზემ ცა გაარღვია —
საქართველო დაერქმევა,
საქართველო თუ არ ჰქვია.

შეხვედრები ყრილობის დელეგატებთან

# ნათლად ვხედავთ მიზანს

ხელვაჩაურის რაიონის სოფელ ახალშენის კალინინის სახელობის კოლმეურნეობის კულტურის სახლის ვრცელ დარბაზში შეიკრიბნენ მეჩაიეები, მეციტრუსეები, მეცხოველეები, სოფლის ინტელიგენციის წარმომადგენლები. ისინი აქ მოვიდნენ, რათა შეხვედროდნენ საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობის დელეგატს, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს პ. გილაშვილს.

შეხვედრა გახსნა კოლმეურნეობის პარტკომის მდივანმა ნ. თურმანიძემ, რომელმაც სიტყვა მისცა ამხ. პ. გილაშვილს.

ამხ. პ. გილაშვილმა ილაპარაკა საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობის შედეგებზე.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი, მისი ბიურო, თქვა მან, მაღალ მოთხოვნებს უყენებენ სამინისტროებს, უწყებებს, ყოველ სამეურნეო რგოლს, რაზმავენ შრომითს კოლექტივებს ყრილობის წინასწარდასახულობათა წარმატებით განხორციელებისათვის. დაძაბული მუშაობა მოგვიწევს სახალხო მეურნეობის ყველა უბანზე. მაქსიმალურად უნდა გამოვიყენოთ არსებული რეზერვები, გავუფრთხილდეთ შრომითს და მატერიალურ რესურსებს, დაუცხრომლად სრულვყოთ სამეურნეო მექანიზმი, ავამაღლოთ მთელი მუშაობის ეფექტიანობა და ხარისხი.

შემდეგ ამხ. პ. გილაშვილმა აღნიშნა, რომ საქართველოს სს რესპუბლიკამ მეცხოველეობის განვითარების ტემპით საკმაოდ კარგ შედეგებს მიაღწია. მისი აღმავლობის დიდმნიშვნელოვანი ღონისძიებები ხორციელდება აჭარის ასს რესპუბლიკაში. აქ შექმნილია მეცხოველეობის დიდი კომპლექსები, ამას წინათ კი მწყობრში ჩადგა უხეში საკვების ბაროთერმული დამუშავების საწარმო, რომლის მნიშვნელობა ძნელია გადაჭარბებით შევაფასოთ. ამასთან ცალკეული მეურნეობები ცდილობენ შეიძინონ ძვირადღირებული ჯიშიანი პირუტყვი. მაგრამ ნაკლებად ზრუნავენ საკვები ბაზის განვითარებისათვის.

ორატორმა შეკრებილთა ყურადღება მიაპყრო მიწის ეფექტიანი გამოყენებისა და ამ საქმეში სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების როლის საკითხებს. მის გამოსვლაში განსაკუთრებული ადგილი დაეთმო ახალი ადამიანის აღზრდაში რესპუბლიკის პარტიული და საბჭოთა ორგანოების მუშაობის გამოცდილების განზოგადებას.

დასასრულ ამხ. პ. გილაშვილმა გულითადად მიულოცა აჭარის ასს რესპუბლიკის მშრომელთ სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოსა და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშით დაჯილდოება და ახალი დიდი წარმატებები უსურვა მათ საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობისა და სკკპ მომავალი XXVI ყრილობის გადაწყვეტილებათა განხორციელებაში.

შეხვედრაზე გამოსულმა კოლმეურნეობის გამგეობის თავმჯდომარემ ქ. დუმბაძემ მეურნეობის ყველა მშრომელის სახელით პირობა დადო, რომ ახალშენელები, როგორც ავტონომიური რესპუბლიკის ყველა მშრომელი, პირნათლად შეასრულებენ მეთერთმეტე ხუთწლედის პირველი წლისათვის ნაკისრ გადიდებულ სოციალისტურ ვალდებულებებს.

შეხვედრას დაესწრნენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრობის კანდიდატი, პარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი ვ. პაპუნიძე, აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე დ. დიასამიძე, აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ი. უნგიაძე. (საქინფორმი).

**წარმოების მექანიზაცია და ავტომატიზაცია მეთერთმეტე ხუთწლედის უმნიშვნელოვანესი ამოცანაა**

# ხელის შრომის აღმოსაფხვრელად

გაიმართა რესპუბლიკური თათბირი, რომელიც საქართველოს სს რესპუბლიკის სახალხო მეურნეობაში წარმოების მექანიზაციის საკითხებსა და მძიმე ხელის შრომის შემცირების ამოცანებს მიეძღვნა.

თათბირი გახსნა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივანმა ამხ. გ. კოლბინმა. მეათე ხუთწლედი, აღნიშნა გ. კოლბინმა, ჩვენი რესპუბლიკისათვის განსაკუთრებული იყო. ამ წლების მანძილზე საქართველოს მშრომელებმა შესანიშნავი წარმატებანი მოიპოვეს ეკონომიკის ყველა დარგში. წარმოების ზრდის სწრაფი ტემპის მეოხებით იგი სამეურნეო განვითარების მოწინავე მიჯნებზე გავიდა.

კიდევ უფრო მნიშვნელოვანი ამოცანები დგას საქართველოს მშრომელთა წინაშე მეთერთმეტე ხუთწლედში, თქვა შემდეგ ამხ. გ. კოლბინმა. ოთხმოციან წლებში უნდა დამთავრდეს ეკონომიკის გადაყვანა ინტენსიური განვითარების რელსებზე. ამიტომ, უწინარეს ყოვლისა, საჭიროა ყოველნაირად გავზარდოთ შრომის ნაყოფიერება. ამ დიდმნიშვნელოვანი პრობლემის გადაწყვეტა ბევრად არის დამოკიდებული საწარმოო პროცესების მექანიზაციისა და ავტომატიზაციის დონეზე.

მოხსენება „1981-1985 წლებში საქართველოს სს რესპუბლიკის სახალხო მეურნეობაში ხელის შრომის მექანიზაციის სამუშაოთა მიზნობრივი კომპლექსური პროგრამის განხორციელების ამოცანების შესახებ“ გააკეთა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ამხ. ზ. ჩხეიძემ.

ამხ. ჩხეიძემ აღნიშნა, რომ შრომის ნაყოფიერების გადიდების ერთ-ერთი პირობაა პროდუქციის შრომატევადობის მუდმივი შემცირება. ეს დაწვრილებით ითქვა საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობაზე. ყრილობისადმი საანგარიშო მოხსენებაში სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატმა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ამხანაგმა ე. ა. შევარდნაძემ თქვა: „შრომის ნაყოფიერების ზრდის უმნიშვნელოვანესი რეზერვია საწარმოო პროცესების მექანიზაცია და ავტომატიზაცია, რაც მეთერთმეტე ხუთწლედის გლობალური ამოცანაა“. პარტიის XXVI ყრილობისათვის სკკპ ცენტრალური კომიტეტის პროექტში აღნიშნულია, რომ საჭიროა გავაუმჯობესოთ საწარმოო საქმიანობის შედეგები პროდუქციის თვითღირებულების შემცირების, შრომის ნაყოფიერების ზრდის საფუძველზე.

რესპუბლიკის ბევრ საწარმოში ცდილობენ მაქსიმალურად გამოიყენონ ეს ფაქტორები. წარმოების მექანიზაციისა და ავტომატიზაციის პრობლემის გადაწყვეტაში მონაწილეობს მრეწველობის ბევრი დარგი. მიუხედავად ამისა წარმოების ავტომატიზაციის საფუძველთა საფუძველია ჩარხმშენებლობის შემდგომი განვითარება.

თავის დროზე, თქვა შემდეგ ამხ. ჩხეიძემ, ჩვენ ზუსტად განვსაზღვრეთ სტრატეგიული ამოცანა — აღმოგვეფხვრა რესპუბლიკის შედარებითი ჩამორჩენა ეკონომიკური განვითარების საშუალო საკავშირო დონისაგან, შემდეგ კი უფრო მაღალ მიჯნებზე გავსულიყავით. გაუზვიადებლად შეიძლება ითქვას, რომ წარმოების მექანიზაციისა და ავტომატიზაციის არასაკმარისი დონე გარკვეულწილად აფერხებს ამ მიზნის მიღწევას.

უწინარეს ყოვლისა სერიოზულ შეშფოთებას იწვევს ის ფაქტი, რომ რესპუბლიკის ეკონომიკის მთელ რიგ დარგებში ხელის შრომის ხვედრითი წილი მნიშვნელოვნად აღემატება საშუალო საკავშირო მაჩვენებლებს. მაგალითად, 1979 წელს ერთდროული გამოკვლევის მონაცემებით, ხელის შრომის ხვედრითი წილი ქვეყნის ქვანახშირის მრეწველობაში შეადგენდა 43,6 პროცენტს, ხოლო საქართველოს სს რესპუბლიკაში — 54,1 პროცენტს. ქვეყნის მანქანათმშენებლობასა და ლითონდამუშავებაში ეს მაჩვენებელი შეადგენდა 36,1 პროცენტს, ჩვენს რესპუბლიკაში — 42,5 პროცენტს. რესპუბლიკაში ხელის შრომის წილი აღემატება საშუალო საკავშირო მაჩვენებელს კვების მრეწველობაში 6,6 პროცენტით, მსუბუქ მრეწველობაში — 4,9 პროცენტით.

მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი წარმოების ტექნიკურ-ეკონომიკური დონის ამაღლების ძირითადი ბერკეტია. უკანასკნელი წლების მანძილზე რამდენადმე გაუმჯობესდა წარმოებაში მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევების დანერგვა. მაგალითად, თუ 1975 წელს ამ მიმართულებით განხორციელდა 4.584 ღონისძიება, 1979 წელს განხორციელდა 5.053 ღონისძიება. მაგრამ, თქვა მომხსენებელმა, ასეთი ზრდა დამაკმაყოფილებლად ვერ ჩაითვლება.

1979 წელს რესპუბლიკის სტატისტიკურმა ორგანოებმა მოაწყვეს მექანიზებული და ხელის შრომით მრეწველობის მუშათა დასაქმების სპეციალური კვლევა. გამოირკვა, რომ მუშათა 53 პროცენტი ხელის შრომითაა დასაქმებული. როგორც შემოწმება მოწმობს, უკანასკნელი ათი წლის მანძილზე ხელის შრომით დასაქმებულ მუშათა რიცხვი უფრო სწრაფად იზრდებოდა, ვიდრე მექანიზებული შრომით დასაქმებული მუშებისა.

დასახელებული იყო სხვა მაგალითებიც, ციფრებიც, რომლებიც სერიოზულ შეშფოთებას იწვევს. 1979 წელს რესპუბლიკის სამრეწველო საწარმოებში მძიმე შრომას ეწეოდა 49 ათასზე მეტი კაცი. 1979 წლის მონაცემებით, შრომის მექანიზაციის დონე მშენებლობაში შეადგენდა 31,2 პროცენტს, სოფლის მეურნეობაში კი ხელის შრომით დასაქმებული იყო მშრომელთა 90 პროცენტზე მეტი.

თუ 1960 წელს არასაწარმოო დარგებში შრომობდა საქართველოს სახალხო მეურნეობაში დასაქმებული მოსახლეობის მხოლოდ 18 პროცენტი, 1979 წელს ეს წილი 29 პროცენტამდე გაიზარდა. ასეთი ტენდენცია კვლავაც გაძლიერდება. მაშასადამე, გამოსავალი მხოლოდ ერთია — გავზარდოთ იმათი შრომის ნაყოფიერება, ვინც წარმოებაშია დასაქმებული. საწარმოო პროცესების მაქსიმალური მექანიზაციისა და ავტომატიზაციის გზით.

ამ საკითხს რესპუბლიკაში დიდი ყურადღება ეთმობოდა. საკმარისია ითქვას, რომ მეათე ხუთწლედში არსებითად განმტკიცდა მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, რაოდენობრივად გაიზარდა და ხარისხობრივად გაუმჯობესდა საწარმოო აპარატი სახალხო მეურნეობის თითქმის ყველა დარგში. ბევრი რამ კეთდება საწარმოთა ტექნიკური გაანალიზებისათვის. ნაკადური ხაზების რიცხვი 1975 წელთან შედარებით 44 პროცენტით გაიზარდა, მექანიზებული ნაკადური ხაზებისა — 49 და ავტომატური ხაზებისა — 17 პროცენტით. ახლა რესპუბლიკის მრეწველობაში მოქმედებს 703 კომპლექსურ-მექანიზებული და 42 ავტომატიზებული საამქრო.

თუმცა გარკვეული წარმატებანია მოპოვებული, მაგრამ მიუხედავად ამისა, რესპუბლიკის მრეწველობაში ძირითადი წარმოების მიხედვით მხოლოდ 6,5 პროცენტი კომპლექსურ-მექანიზებული, 0,9 პროცენტი ავტომატიზებული და 0,7 პროცენტი კომპლექსურ-ავტომატიზებული საწარმოა.

ყურადღებას იპყრობს ის გარემოება, რომ ძირითადი მუშებისათვის მექანიზაციის დონე მთლიანად მრეწველობაში 59,2 პროცენტი, ხოლო დამხმარე მუშებისათვის — სულ 26,3 პროცენტია.

განსაკუთრებით იჩენს თავს მკვეთრი განსხვავება ძირითადი და საამწეო-სატრანსპორტო და სასაწყობო ოპერაციების მექანიზაციაში. მაგალითად, თბილისის კიროვის სახელობის ჩარხსაშენებელ ქარხანაში, სადაც ძირითად სამუშაოთა მექანიზაციის დონე საკმაოდ მაღალია, ბევრი შრომატევადი დამხმარე ოპერაცია ხელით სრულდება. თბილისის ჩაის საწონ ფაბრიკაში, სადაც მთელი საწარმოო ოპერაციები ავტომატიზებული და მექანიზებულია, ნედლეულით სავსე ვაგონების დაცლა და მზა პროდუქციით ვაგონების დატვირთვა ხელით სრულდება. ამ უბანზე დასაქმებულია 20-ზე მეტი კაცი, რომლებსაც ყოველდღე დაახლოებით 40 ტონა ტვირთის გადამუშავება უწევთ.

სავსებით გასაგებია, რომ ხელის შრომის ლიკვიდაცია ან მკვეთრი შემცირება ვერ შემოიფარგლება მხოლოდ მოძველებული ტექნიკის შეცვლით. მას თან უნდა სდევდეს უფრო სრულყოფილი ტექნიკის მიება, ნაწარმის შრომატევადობის შემცირება, სიმძლავრეთა ზრდა, საწარმოო ციკლის შეკვეცა. მაგრამ, რაც მთავარია, ხელის შრომას უნდა შევუტიოთ ფართო ფრონტით, სხვანაირად ესა თუ ის ჩამორჩენილი უბანი შეაფერხებს წარმოების საერთო განვითარებას, შექმნის დისპროპორციებს.

სწორედ ამიტომაც საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა, რესპუბლიკის მინისტრთა საბჭომ და პროფსაბჭომ 1979 წელს მიიღეს ერთობლივი დადგენილება „საქართველოს სს რესპუბლიკის სახალხო მეურნეობაში ხელის შრომის შემდგომი შემცირების ღონისძიებათა შესახებ“. ამ დადგენილების შესაბამისად შეიქმნა საკოორდინაციო საბჭო, რომელიც რესპუბლიკაში სათავეში ჩაუდგა 1981-1985 წლებში საქართველოს სს რესპუბლიკის სახალხო მეურნეობაში ხელის შრომის მექანიზაციის სამუშაოთა მიზნობრივი კომპლექსური პროგრამის შემუშავებას.

ეს კომპლექსური პროგრამა ითვალისწინებს მეთერთმეტე ხუთწლედში ხელის შრომის მექანიზაციის 1300-ზე მეტი ღონისძიების განხორციელებას. ამის შედეგად ავტომატებით, ავტომატიზებული აგრეგატებითა და აპარატებით სამუშაოს შემსრულებელ მუშათა რიცხვი 1985 წელს 1979 წელთან შედარებით 42 პროცენტით გაიზრდება. შედარებისათვის მომხსენებელმა მოიყვანა ასეთი ციფრი: 1975-1979 წლებში ამ კატეგორიის მუშათა რიცხვი 25,5 პროცენტით გაიზარდა. მუშათა რიცხვი, რომლებიც ხელის სამუშაოებს ასრულებენ არა მანქანებითა და მექანიზმებით, 1979 წლის 556,6 ათასიდან 1985 წელს შემცირდება 296,3 ათასამდე. 1975-1979 წლებში ამ კატეგორიის მუშათა რიცხვი სულ 53,5 ათასი კაცით შემცირდა.

კომპლექსური პროგრამით გათვალისწინებულ ღონისძიებათა განხორციელების შემდეგ მიღებულ იქნება 133,6 მილიონი მანეთის წლიური ეკონომიკური ეფექტი.

სულ მრეწველობაში, მშენებლობასა და არასაწარმოო სფეროში მექანიზებულ შრომაზე მეთერთმეტე ხუთწლედში გადავა 32 ათასი კაცი. ხელის შრომის ყოველმხრივი მექანიზაცია ამ პერიოდში რესპუბლიკის სახალხო მეურნეობაში პირობითად გამოათავისუფლებს 104,4 ათას კაცს.

საწარმოო პროცესებისა და პროგრესული ტექნოლოგიის მექანიზაციისა და ავტომატიზაციის ღონისძიებათა შესრულების გზით 1981-1985 წლებში მრეწველობაში შრომის ნაყოფიერება 10-12 პროცენტით გაიზრდება.

დასასრულ ამხ. ჩხეიძემ აღნიშნა, რომ რესპუბლიკის ყველა პარტიულმა ორგანომ ერთ-ერთ მთავარ სოციალურ-ეკონომიკურ ამოცანად უნდა მიიჩნიოს შრომის პირობების გაუმჯობესება და მექანიზაციის დონის ამაღლება მრეწველობის, მშენებლობის, სოფლის მეურნეობისა და ეკონომიკის სხვა დარგების საწარმოებში. ფიზიკურად მძიმე ხელის შრომის მოცულობის მკვეთრი შემცირება, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მიღწევათა დანერგვის გზით შრომის ნაყოფიერების ყოველმხრივ ამაღლება. პარტიულმა ორგანიზაციებმა უნდა განსაზღვრონ ორგანიზაციულ ღონისძიებათა კომპლექსი, რომლებიც საშუალებას მოგვცემს გულდაჯერებით ვმართოთ ეს მუშაობა, უზრუნველვყოთ ყოველდღიური კონტროლი კომპლექსური პროგრამის შესრულებისადმი, იდეოლოგიური საქმიანობა მოვახმაროთ ამ უმნიშვნელოვანესი სახელმწიფო პრობლემის გადაჭრას.

საქართველოს სსრ მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტს, საქართველოს სსრ სახმშენს წინადადება მიეცათ შეიმუშაონ და დაამტკიცონ რესპუბლიკის იმ სამეცნიერო და საპროექტო-საკონსტრუქტორო ორგანიზაციების მუშაობის გეგმა, რომლებიც უნდა ჩაებან ხელის შრომის მექანიზაციის პროგრამით დასახულ ტექნიკურ ამოცანათა გადაწყვეტაში.

საქართველოს სსრ ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტმა, რესპუბლიკური გაზეთებისა და ჟურნალების რედაქციებმა, საქინფორმმა უფრო ფართოდ უნდა გააშუქონ რესპუბლიკის სახალხო მეურნეობაში ხელის შრომის მექანიზაციისათვის მუშაობის დადებითი გამოცდილება.

თათბირზე აღინიშნა, რომ შრომის ნაყოფიერების გადიდების ძირითადი ფაქტორია სახალხო მეურნეობის ყველა დარგში ახალი ტექნიკისა და მოწინავე ტექნოლოგიური პროცესების ფართო გეგმაზომიერი დანერგვა, მშრომელთა ზოგადსაგანმანათლებლო და კულტურული დონის, მათი საწარმოო კვალიფიკაციის ამაღლება. თბილისის საწარმოებში, მაგალითად, როგორც თავის გამოსვლაში აღნიშნა პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის მდივანმა ზ. მეხიშვილმა, მარტო 1980 წელს დაინერგა 54 საკონვეიერო და ნაკადური ხაზი, დაიდგა 1.500 ერთეულზე მეტი ახალი მოწყობილობა, მოდერნიზებულია დაახლოებით 450 ერთეული. გარდა ამისა დაინერგა თითქმის 3.300 რაციონალიზატორული წინადადება, რაც წლიწადში პირობითად ზოგავს 8 მილიონ მანეთს.

სახალხო მეურნეობაში ხელის შრომის შემცირებისათვის მუშაობის საკოორდინაციოდ პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტში შეიქმნა სპეციალური კომისია. ბევრი რამ კეთდება მეცნიერებისა და წარმოების კავშირის განმტკიცებისთვისაც. და ამ საკითხებზეც მუშაობს სპეციალური კომისია, რომლის მუშაობაში ჩაბმული არიან სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების და უმაღლესი სასწავლებლების, საპროექტო დაწესებულებების ხელმძღვანელები, წარმოების სპეციალისტები, პარტიული აქტივი.

საწარმოო კოლექტივების პარტიული ხელმძღვანელების ერთ-ერთი ძირითადი ამოცანაა პარტიულმა ორგანიზაციებმა გააძლიერონ კონტროლი და მომთხოვნელობა არსებული ტექნიკისა და მოწყობილობის, ავტომატიზაციისა და მექანიზაციის საშუალებათა გამოყენებისათვის.

საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილემ, ლენინური პრემიის ლაურეატმა ი. ჟორდანიამ აღნიშნა, რომ მეთერთმეტე ხუთწლედში შრომის ნაყოფიერების საერთო ზრდის 50 პროცენტზე მეტი უზრუნველყოფილი უნდა იყოს მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევათა დანერგვის გზით.

თათბირზე გამოვიდნენ „ჭიათურმანგანუმის“ სამთამადნო კომბინატის მთავარი ინჟინერი ა. ხობუა, თბილისის დიმიტროვის სახელობის საავიაციო ქარხნის მთავარი ინჟინრის მოადგილე ა. ხოფერია, საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის მინისტრი გ. გამცემლიძე, გაერთიანება „საქართველოს ჩაის“ უფროსი ე. მალაზონია, სოხუმის გაზის აპარატურის ექსპერიმენტული ქარხნის პარტორგანიზაციის მდივანი ვ. თარბა და სხვები, რომელთა გამოსვლებს წითელ ზოლად გასდევდა აზრი, რომ ახალი ტექნიკის დაჩქარებული და უნარიანი დანერგვა ხელის შრომის შემცირების საფუძველია.

მეცნიერულ-ტექნიკურ პროგრესში უმნიშვნელოვანესი როლი განეკუთვნება მეცნიერებას. მეცნიერებამ უნდა გამოავლინოს ბუნების ახალი შესაძლებლობანი და გამოძებნოს მათი ეფექტიანი გამოყენების წესები, წარმოების ეკონომიკური შედეგების გაუმჯობესების მეთოდები. წარმოებაში მეცნიერების მიღწევათა დანერგვის მასშტაბი ამჟამად რესპუბლიკაში გაფართოვდა. ეს მოითხოვს დაგეგმვის სრულყოფას, ყველაზე ხელსაყრელი გადაწყვეტილებებისა და ოპტიმალური პროპორციების განსაზღვრას ფუნდამენტური და გამოყენებითი კვლევის განვითარებაში. ამის შესახებ თათბირზე დაწვრილებით ილაპარაკეს რესპუბლიკური სამეცნიერო-ტექნიკური საზოგადოების თავმჯდომარემ, საბჭოთა კავშირის მცირე სიმძლავრის ელექტრომანქანების ტექნოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორმა გ. მინდელმა, საქართველოს სსრ მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილემ ლ. ოკლეიმ, „საქბაგირგზის“ სამმართველოს უფროსმა შ. ორჯონიკიძემ და სხვებმა.

მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი, რომელსაც სერიოზული ცვლილებანი შეაქვს წარმოებაში, შრომის ორგანიზაციასა და მართვაში, ხშირად ძირეულად ცვლის ვითარებას, რომელშიც ცხოვრობს და შრომობს ადამიანი. ავტომატიზებული წარმოების მუშათა ძირითად კატეგორიას განეკუთვნებიან მაღალკვალიფიციური გამმართველები, მემონტაჟეები, მერემონტეები. მკვეთრად მაღლდება მომთხოვნელობა მუშათა კვალიფიკაციის დონისადმი. ტექნოლოგიური პროცესების მზარდი სირთულე თითოეული მათგანისაგან მოითხოვს მოწყობილობის კონსტრუქციის ღრმა ცოდნასა და მუშაობის უფრო მიზანშეწონილი რეჟიმების უნარიან შერჩევას, უნარს, გაერკვნენ მექანიზმებისა და მანქანების არა მარტო ექსპლოატაციის პრაქტიკულ საქმეებში, არამედ თეორიის საფუძვლებშიც. ამაზე ილაპარაკეს, კერძოდ, ამიერკავკასიის რკინიგზის უფროსის მოადგილემ ა. კობიაშვილმა, მშენებლობისა და საშენი მასალების მუშაკთა რესპუბლიკური პროფკავშირის კომიტეტის მდივანმა ო. წოწოლაშვილმა და სხვებმა.

თათბირის შედეგები შეაჯამა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივანმა ამხ. გ. კოლბინმა.

თათბირის მუშაობაში მონაწილეობდნენ ამხანაგები თ. მენთეშაშვილი, თ. მოსაშვილი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის განყოფილებათა გამგეები: ბ. მახარაშვილი, ო. ივანაშვილი, ბ. ბარხუკოვი, ა. ზედგენიძე. (საქინფორმი).

XXVI სკკპ ყრილობის შესახვედრად

# აღმშენებლობის პროგრამა

**განვიხილავთ პარტიის XXVI ყრილობისათვის სკკპ ცენტრალური კომიტეტის პროექტს „სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1981-1985 წლებისა და 1990 წლამდე პერიოდის ძირითადი მიმართულებანი“**

## როგორ გვამარაგებენ კვების პროდუქტებით?

მეშახტეთა ქალაქის — ტყიბულის მშრომელებს ერთ დროს ორი ორგანიზაცია — მუშათა მომარაგების განყოფილება და სახვაჭრობა ემსახურებოდა. პირველის ამოცანა ის იყო, რომ მაქსიმალურად გამოეყენებინა დარგის მთელი შესაძლებლობა თავისი შრომითი კოლექტივის კვების პროდუქტებით მომარაგებისათვის.

გავიდა წლები და მუშათა მომარაგების სისტემამ რატომღაც უარი თქვა თავისი ძირითადი ამოცანის შესრულებაზე, შესუსტა ყურადღება მუშათა კვების ორგანიზაციისადმი, კვების საზოგადოებრივი ქსელის განვითარებისადმი და წინ წამოსწია ძვირადღირებული, ხანგრძლივი სარგებლობის საქონლით ვაჭრობა. ერთი სიტყვით, მიისაკუთრა სავაჭრობის ფუნქციები, წარმოიშვა პარალელიზმი მეშახტეთა ქალაქის სავაჭრო ქსელში.

ამიტომ იყო, რომ სახელმწიფო ვაჭრობის ორგანიზაცია, როგორც ზედმეტი, პარალელური რგოლი ტყიბულში, ამ რამდენიმე წლის წინათ გაუქმდა. ქალაქში გაბატონებული მდგომარეობა მუშათა მომარაგების სისტემამ დაიკავა.

ახლა ყველა ამჩნევს, რომ ეს სავაჭრო ორგანიზაცია საქონელბრუნვის გეგმას, მართალია, წარმატებით ასრულებს ძვირადღირებული სამრეწველო საქონლის რეალიზაციის ხარჯზე, მაგრამ მუშათა სასადილოებისა და სასურსათო მაღაზიების მუშაობა საჭირო დონეზე არ არის.

ამიტომ, ჩვენი აზრით, მიზანშეწონილი იქნება, თუ ძირითად მიმართულებებში ჩაიწერება: „მუშათა მომარაგების განყოფილებებმა განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ მუშების, ინჟინერ-ტექნიკოსებისა და მოსამსახურეების მომარაგებას კვების პროდუქტებით, ყოველმხრივ განავითარონ და მაღალ საფეხურზე აიყვანონ საზოგადოებრივი კვების ქსელის მუშაობა“.

**მ. ვარდოსანიძე,**
ქ. ტყიბულის ლენინის სახელობის შახტის ნოვატორი მნგრეველი;
**პ. ნანიკაშვილი,**
სამთო ოსტატი, საპატიო მეშახტე;
**ა. ბასილაძე,**
სამთო ინჟინერი.

ჩვენი აზრით

## სატარო ბაზის განმტკიცება

პროექტი, რომელიც ჩვენი ქვეყნის სახალხო მეურნეობის ყოველმხრივ განვითარებას ითვალისწინებს, ყველა სფეროს მოიცავს.

პროექტის მეოთხე განყოფილებაში, სადაც ლაპარაკია ქიმიური და ნავთობქიმიური მრეწველობის მომავალზე, ჩემი აზრით, საჭიროა დაემატოს: გავზარდოთ პლასტიკური მასალების წარმოება სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის სატარო ბაზის განმტკიცების მიზნით.

**ხ. ყურშუბაძე,**
ქობულეთის რაიონის სოფელ ჩაისუბნის კოლმეურნე.

# მიწა და ქიმია

**საქართველოს სოფლის მეურნეობის ქიმიზაციის თანამედროვე მდგომარეობა და პერსპექტივები**

სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1978 წლის ივლისის პლენუმის დირექტივებისა და „ქვეყანაში ერთიანი აგროქიმიური სამსახურის შექმნის შესახებ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს ცნობილი დადგენილების შესაბამისად შეიქმნა რესპუბლიკური საწარმოო-სამეცნიერო გაერთიანება „საქსოფლქიმია“.

ამასთან დაკავშირებით რეორგანიზებულია აგროქიმიური მომსახურების 3 საოლქო, 18 სარაიონთაშორისო და 10 რაიონული საწარმოო გაერთიანება. გაერთიანებას გადაეცა რესპუბლიკის წამყვანი სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტები (საქართველოს ნიადაგთმცოდნეობის, აგროქიმიისა და მელიორაციის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი და საქართველოს მცენარეთა დაცვის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი), სამი ზონალური აგროქიმიური ლაბორატორია, 26 მცენარეთა დაცვის სარაიონთაშორისო და რაიონული სადგური, 42 სიგნალიზაციისა და პროგნოზირების პუნქტი, ორგანული სასუქების დამზადების ბაზები, ტორფის დამზადებისა და ტორფდოლომიტის სასუქების მომზადების სპეცგანყოფილება.

„საქსოფლქიმიის“ ერთიან სისტემაში სამეცნიერო და საწარმოო ძალების ასეთი კონცენტრაცია უკვე საშუალებას გვაძლევს რაც შეიძლება გამიზნულად და სრულად გადავწყვიტოთ ამოცანები, რომლებიც დასახულია რესპუბლიკის კომპლექსური ქიმიზაციის წინაშე.

გასულ წელს რესპუბლიკურმა საწარმოო-სამეცნიერო გაერთიანებამ „საქსოფლქიმიამ“, რომელიც სრულყოფს თავის სტრუქტურას და აფართოებს აგროქიმიური მომსახურების დარგში საქმიანობის სფეროს, რესპუბლიკის სხვადასხვა ზონაში შექმნა „სოფლქიმიის“ 26 მექანიზებული რაზმი, რომლებიც უკვე უშუალოდ მონაწილეობენ სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლის აღებაში. ამრიგად, „საქსოფლქიმიამ“ შეკრა წრე — მეთოდოლოგიური ხელმძღვანელობით და კონტროლით დაწყებული და მეცნიერების მიღწევებისა და მოწინავე გამოცდილების საფუძველზე წარმოების სამუშაოებში უშუალო მონაწილეობით დამთავრებული.

გასულ წელს „საქსოფლქიმიამ“ ექსპერიმენტის წესით დაიწყო ზონალურ თავისებურებათა მქონე რამდენიმე მეურნეობის მასშტაბით „სოფლქიმიის“ სარაიონთაშორისო და რაიონული მექანიზებული რაზმების ბაზაზე ნაწილობრივი და სრული აგროქიმიური მომსახურების სამუშაოები.

გარდა ამისა, „საქსოფლქიმია“ მკაფიოდ გამოხატული ზონალურობის მქონე ცალკეული რაიონების მასშტაბით დაიწყებს ექსპერიმენტებს, რომლებშიც ჩააბამს სამეცნიერო-კვლევითს ინსტიტუტებს და მეთოდოლოგიურ ცენტრებს, რათა დანერგოს და დაამუშაოს ამ რაიონებში კულტურების მოსავლიანობის გაზრდის ახალი კომპლექსური ტექნოლოგიები, რომლებიც მათი აპრობაციის კვალობაზე რესპუბლიკის სხვა რაიონებშიც დაინერგება.

რესპუბლიკაში ამჟამად შექმნილია ქიმიზაციის 60 სამეურნეო პუნქტი. მეთერთმეტე ხუთწლედისათვის ნავარაუდევია დამატებით შეიქმნას ქიმიზაციის 70 სამეურნეობათშორისო და 75 სამეურნეო პუნქტი.

ჩვენს რესპუბლიკაში, სადაც მიწის რესურსები ფრიად შეზღუდულია, ნიადაგების ქიმიური მელიორაციის პრობლემას განსაკუთრებით აქტუალური მნიშვნელობა ენიჭება.

სოფლის მეურნეობის არანაკლებ დიდმნიშვნელოვანი პრობლემაა 58 ათასი ჰექტარი მჟავე ნიადაგების გაკირიანება (9 ათასი — სუბტროპიკული კულტურებისა, 6 ათასი ჰექტარი — სხვა მრავალწლოვანი ნარგავებისა, 23 ათასი — ერთწლოვანი ნარგავებისა და 20 ათასი ჰექტარი სათიბებისა), რასაც ჩვენი რესპუბლიკის პირობებში ასევე დიდი მნიშვნელობა აქვს. მით უმეტეს, რომ ეს მიწები, ძირითადად, სუბტროპიკულ ზონაშია.

თუ 1976 წლამდე მჟავე ნიადაგების გაკირიანება შესაბამისი მეცნიერული რეკომენდაციების გარეშე ხდებოდა, მეათე ხუთწლედის დამდეგიდან ეს სამუშაოები გამიზნულად და დიდად ეფექტიანად წარმოებს, მაგრამ მასშტაბები ძალზე მცირეა — ყოველწლიურად მხოლოდ 1.200 ჰექტარი.

გაკირიანების შედეგად ციტრუსოვანთა მოსავლიანობა იზრდება 30-45 პროცენტით, ხოლო დაფნის წარმოება ამავე ნიადაგებზე გაკირიანების გარეშე საერთოდ შეუძლებელია. საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებით მეთერთმეტე ხუთწლედში გათვალისწინებულია 50,7 ათასი ჰექტარი მჟავე ნიადაგების გაკირიანება, რისთვისაც რესპუბლიკურმა საწარმოო-სამეცნიერო გაერთიანება „საქსოფლქიმიამ“ შესაბამისი ღონისძიებანი უნდა განახორციელოს, რათა ამ სამუშაოებში უშუალოდ მონაწილეობდნენ მექანიზებული რაზმების ძალები, ხოლო სოფლქიმიის სამეცნიერო ქვეგანაყოფების ძალებმა კონტროლი და საავტორო ზედამხედველობა გაუწიონ ამ სამუშაოებს.

ნიადაგების ქიმიური მელიორაციის პრობლემების გარდა „საქსოფლქიმია“ განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს რესპუბლიკის სოფლის მეურნეობაში ორგანული სასუქების გამოყენებას. ეს ძალზე მწვავე და ჯერჯერობით გადაუწყვეტელი პრობლემაა, რადგან სოფლის მეურნეობის მოთხოვნილება 17 მილიონ ტონას შეადგენს, ხოლო დღეისათვის მზადდება მხოლოდ 2 მილიონი ტონა, პლიუს 215 ათასი ტონა ტორფის სასუქები.

რესპუბლიკისათვის შემდეგი ძალზე აქტუალური პრობლემა, რომელზეც „საქსოფლქიმია“ უკვე აქტიურად მუშაობს, ეს არის იმ ბუნებრივი სათიბებისა და საძოვრების გაუმჯობესება, რომლებიც ჩვენს პირობებში ძალზე მცირე უკუგებას იძლევა და ვერ უზრუნველყოფს მტკიცე საკვები ბაზის შექმნას. თუ გავითვალისწინებთ, რომ სადღეისოდ რესპუბლიკაში დამზადებული საკვების ნახევარს ბუნებრივი სათიბებიდან და საძოვრებიდან იღებენ, რომელთა პროდუქტიულობა სათიბებისათვის ჰექტარზე 8-10 ცენტნერ თივას, ან 30 ცენტნერ მწვანე მასას შეადგენს და საძოვრებისათვის — ჰექტარზე 20-25 ცენტნერ მწვანე მასას, მათი მოსავლიანობის გაზრდა და გაკულტურება განსაკუთრებით დიდ სახალხო-სამეურნეო მნიშვნელობას იძენს, მეტადრე ჩვენი რესპუბლიკის პირობებში, რომელსაც 144,2 ათასი ჰექტარი სათიბები და 1822,4 ათას ჰექტარი საძოვრები აქვს. მათი ნაწილი მთებშია და უგზოობის გამო ჭირს მათი ინტენსიური ექსპლოატაცია ქიმიზაციისა და მექანიზაციის საშუალებათა ფართო გამოყენებით, რაც კიდევ უფრო ამწვავებს ამ პრობლემას.

რესპუბლიკის რამდენიმე მეცხოველეობის რაიონში ამ მხრივ მოწყობილმა ცდებმა საშუალება მოგვცა დაგვედგინა სასუქების შეტანის დოზები და ვადები, აგრეთვე მათი ეფექტიანობა სათიბების ქიმიზაციის სხვადასხვა დონის პირობებში.

პერსპექტივაში სათიბების გაკულტურებისათვის მუშაობა 1982-1983 წლებში 20.000 ჰექტარამდე გაიზრდება და შემდეგ მთელ რესპუბლიკაზე გავრცელდება.

ზემოთქმულის გარდა, დიდ მნიშვნელობას ვანიჭებთ რა მეცხოველეობის საკვები ბაზის განვითარებას, 1981 წელს გათვალისწინებული გვაქვს ზონალური აგროქიმიური ლაბორატორიების საკვების განყოფილებათა ბაზაზე რესპუბლიკაში შევქმნათ საკვებისა და სოფლის მეურნეობის პროდუქციის ხარისხის ანალიზის რესპუბლიკური ლაბორატორია, ხოლო ზოგიერთ სარაიონთაშორისო და რაიონულ გაერთიანებაში შეიქმნება საკვების ხარისხის პატარა ლაბორატორიები, რომლებიც აგროქიმსამსახურის რეკომენდაციების საფუძველზე საკვებისადმი კონტროლის და მისი რაციონალური გამოყენების სამუშაოთა კოორდინაციის ფუნქციებს იკისრებენ. რაიონულ ლაბორატორიებსა და მეურნეობებში საკვების ხარისხის სპეციალისტებს მეთოდოლოგიურად უხელმძღვანელებს საკვებისა და სოფლის მეურნეობის პროდუქტების ხარისხის რესპუბლიკური ლაბორატორია.

არ შევჩერდები სოფლქიმიის ყოველდღიურ საქმიანობაზე, მაგრამ შევეხები ქიმიზაციის დარგში სამეცნიერო კვლევის განვითარების, სოფლის მეურნეობის აგროქიმიური მომსახურების ახლადშექმნილ სამსახურთან მეცნიერების ურთიერთობის პრობლემებს და მეცნიერებისა და წარმოების კავშირის, მეცნიერების მიღწევათა დანერგვის და ზოგიერთ სხვა კერძო საკითხს.

უწინარეს ყოვლისა უნდა ითქვას, რომ მეცნიერებასთან აგროქიმიის სამსახურის ურთიერთობა ჩვენთან წარმატებით ვითარდება საქმიანი თანამეგობრობის პრინციპების საფუძველზე, რასაც ბევრად უწყობს ხელს ის, რომ რესპუბლიკურ საწარმოო-სამეცნიერო გაერთიანება „საქსოფლქიმიას“ გადაეცა ნიადაგმცოდნეობის, აგროქიმიისა და მელიორაციის და მცენარეთა დაცვის ორი სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტი.

საქსოფლტექნიკამ უკვე მნიშვნელოვანი მუშაობა გასწია ინსტიტუტების მუშაობის ანალიზისათვის და შეიმუშავა მომავალი ხუთწლედის სამეცნიერო კვლევის გეგმები.

სამეცნიერო-კვლევითს ინსტიტუტებს რეკომენდაცია მიეცათ, სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის 1981-1985 წლების თემატურ გეგმებში ასახონ, ხოლო ზოგიერთ ნაწილში გააღრმაონ გამოყენებითი მნიშვნელობის ცალკეული თემები.

რესპუბლიკური საწარმოო-სამეცნიერო გაერთიანების „საქსოფლქიმიის“ შექმნა სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში პრინციპულად დიდი სიახლეა. ეს არის თანამედროვე დონეზე სასოფლო-სამეურნეო წარმოების ქიმიზაციის განვითარების მთავარი ბერკეტი.

**დ. კოლელიშვილი,**
რესპუბლიკური საწარმოო-სამეცნიერო გაერთიანების „საქსოფლქიმიის“ თავმჯდომარე.

ზრდის ციფრები

## მშენებლობისა და რეკონსტრუქციის გზით




**1981-1990 წლებში გათვალისწინებულია ახალ სამრეწველო საწარმოთა საექსპლოატაციოდ გადაცემისა და მოქმედ საწარმოთა გაფართოების ვრცელი პროგრამა. მთლიანად დაგეგმილ პერიოდში გათვალისწინებულია 200-მდე ახალი სამრეწველო საწარმოს მშენებლობა, 100-ზე მეტის გაფართოება და რეკონსტრუქცია. მეთერთმეტე ხუთწლედსა და 1990 წლამდე პერიოდში ნავარაუდევია მანქანათმშენებლობისა და ლითონდამუშავების დარგების 18 ქარხნისა და მსუბუქი მრეწველობის 6 ფაბრიკის მშენებლობა, რომლებსაც სიმძლავრეთა ათვისების შემდეგ 70 ათასი კაცი დასჭირდება.**

**საზოგადოებრივ წარმოებაში მრეწველობის შედარებით მცირე ხვედრითი წილი, განსაკუთრებით დარგში დასაქმებული შრომითი რესურსების რიცხვის მიხედვით, იმის ერთ-ერთი ძირითადი მიზეზია, რომ რესპუბლიკა საერთო-ეკონომიკური განვითარების განმაზოგადებელი მაჩვენებლებით შედარებით ჩამორჩება საშუალო საკავშირო დონეს. ამიტომ არსებული შრომითი რესურსების, განსაკუთრებით მთისა და მთისწინეთის რაიონების, პატარა ქალაქებისა და დაბების შრომითი რესურსების სრულად გამოყენებას ამ ადგილებში სამრეწველო საწარმოთა ფილიალების შექმნის გზით დიდი მნიშვნელობა ენიჭება.**

**ამ მხრივ საქართველოს კპ XXVI ყრილობაზე აღინიშნა იმ მექანიკური ქარხნის გამოცდილება, რომელსაც თ. მ. ნიორაძე ხელმძღვანელობს. აქ სახელმწიფოებრივი პოზიციიდან მიუდგნენ ამ საკითხს და მინიმალური დანახარჯებით შექმნეს თავიანთი ფილიალები რესპუბლიკის ოთხ რაიონში, თანაც განახორციელეს ამ მიზნით უქმად მდგომი საზოგადოებრივი ნაგებობების რეკონსტრუქცია. მეათე ხუთწლედის დამლევისათვის ფილიალებმა გამოუშვეს საწარმოს მთლიანი პროდუქციის მოცულობის 30 პროცენტი.**

**ამ ბოლო დროს განხორციელებულ ღონისძიებათა შედეგად საიმედო საფუძველი ეყრება სოფლის მეურნეობისათვის ტექნიკის შექმნასა და წარმოებას. ჩვენი მეცნიერები და კონსტრუქტორები ამთავრებენ მობილური ჩაის საკრეფი მანქანის „საქართველოს“ მოდიფიკაციას. გამოცდა გაიარა და სერიულ წარმოებაში გადაეცა მონორელსიანი ტრანსპორტი, რომელიც ესოდენ საჭიროა ხელის შრომის მექანიზაციისათვის, მთის პლანტაციებში ტვირთის ტრანსპორტირებისათვის.**

**მეთერთმეტე ხუთწლედში რესპუბლიკის სამრეწველო პროდუქციის მოცულობა 30-33 პროცენტით გაიზრდება. ამავე პერიოდში საბჭოთა კავშირის წარმოების მოცულობა 26-28 პროცენტით უნდა გადიდდეს. ასეთი თანაფარდობა შეესაბამება საშუალო საკავშირო დონისაგან რესპუბლიკის ინდუსტრიული განვითარების შედარებითი ჩამორჩენის თანდათანობითი დაძლევის ამოცანებს.**

დღეს ელექტროენერგიის გარეშე ფერმაში ერთ ნაბიჯსაც ვერ გადადგამ. თუ ღმერთი განწყრა და დენი გამოითიშა, აქ ველარც ძროხას მოწველი, ვერც საკვებს გადაამუშავებ, რომ შენთვის მონდობილ პირუტყვს ბაგაზე დროით მიაწოდო, ვერც ბოსლებს დაგვი და ვერც სხვა აუცილებელ საქმეს გააკეთებ.

ამ მოსალოდნელი გაჭირვების თავიდან ასაცილებლად ფერმას საკუთარი დენის წყარო აქვს. ის უმალვე ჩაირთვება, თუ ვინცობაა დენის მოწოდება შეწყდა.

გასულ ზაფხულსა და შემოდგომაზე ჯაფარიძელ მეცხოველეებს წინასწარ გაუთვალისწინებელი თავსატეხი გამოუჩნდათ. ფერმაში რამდენიმე ძროხა ტუბერკულოზით დაავადდა და, ვეტერინართა დასკვნის თანახმად, საშინელი სენი სხვა ძროხებსაც რომ არ გადასდებოდა, საჭირო გახდა მათი დაუყოვნებლივ იზოლაცია.

კოლმეურნეობის გამგეობამ, როგორც ასეთ შემთხვევებში ხშირად ხდება ხოლმე, გულხელი როდი დაიკრიფა. არასასიამოვნო ცნობა ჯერ რაიონშიც არ იცოდნენ, რომ ძროხების დანაკლისის შესავსებად ზომები უკვე მიღებული იყო. ნიკო ყოჩიაშვილი სოციალისტური შრომის გმირია. ზემოქედელი თავკაცის, არსენ კობაიძისა არ იყოს, მას სად არ იცნობენ! ეს თავისი პირადი ნაცნობობაც ნიკომ საზოგადო საქმის სასარგებლოდ გამოიყენა და წერილი გაუგზავნა კოლეგას მოსკოვის ოლქში. ერთი კვირა არც არის, რაც იქიდან შავ-ჭრელი უშობლების მთელი ნახირი მორეკეს. სულ ასი სულია. უშობლები, რომელთაგან თითოეული უკვე სამას-ოთხას კილოგრამს იწონის, სანამ ადგილობრივ პირობებს შეეგუებოდნენ და გაშინაურდებოდნენ, ჯერ ბაგურ კვებაზე ჰყავთ და მალე ფერმის სხვა პირუტყვთან ერთად საძოვარზე გაუშვებენ.

ჭიშკარი მთელი კვირის წვერგაუპარსავმა დავით ბოსტოლანაშვილმა, ფერმის ბრიგადირმა, გაგვიღო და მანქანიდან გადმოსულ ნიკო ყოჩიაშვილს გაღიმებული მიესალმა. იღიმებოდა ნიკოც. სხვებიც იღიმებოდნენ. თავსაფრიანი მწველავი ქალები, რომელთაგან ერთი — ზაირა ალხანიშვილი, განთქმული მწველავი, სოციალისტური შრომის გმირი, სასოფლო-სამეურნეო გამოფენებისა და საპატიო თავყრილობების უცვლელი მონაწილე, მიუხედავად მისი სამუშაო ჩაცმულობისა დანახვისთანავე ვიცანი, მორიდებულად შორიახლო იდგნენ და მამაკაცებში გარევას არ ჩქარობდნენ.

ზაირა ალხანიშვილი ჯაფარიძის კოლმეურნეობის პირველი მწველავია. ოც ძროხას უვლის. ამ საქმეში მას დღესდღეობით ბადალი არა ჰყავს. გაპიროვნებულ ძროხებსა და ხბორებს თვალისჩინივით, თანამედროვე მეცნიერების უკანასკნელი მონაცემების მიხედვით პატრონობს და რძეც მდინარესავით მოედინება. კარგა ხანია, რაც ზაირა ალხანიშვილი სამი ათას ორას კილოგრამ რძეს ღებულობს თითოეული ძროხის ანგარიშზე. რით და როგორ? წველადობა საკვების სინოყივრესა და მოვლის თავისებურებებზე ჰკიდია. მას ყოველ ცალკეულ შემთხვევაში ღრმად შესწავლა და გამომზეურება უნდა, რათა ერთის მიღწევა მთელი საზოგადოების საკუთრებად იქცეს და საქმე წინ წაწიოს.

ზაირა გაგვიძღვა და ფურების სადგომი გვაჩვენა. აქაურობა ისე იყო დაგვილ-დასუფთავებული, თავი ბოსელში კი არა, სადმე საზოგადო თავშეყრის ადგილას გეგონებოდა. ჰაერის გასაწმენდად სუფთად განმენდილ-გაკრიალებული სარკმლებიც გაეღოთ. ძროხები გამთენიის ხანს გაერეკათ საძოვარზე, რომელიც ფერმის სამეურნეო ეზოს, ერთთავად ასფალტით რომ მოუგიათ და თვით კოკისპირულ წვიმაშიაც ფეხი არსად დაგისველდება, ეზო ეკვრის, ბაგაზე სპილოსებრ ვეება და სიმსუქნისაგან გამრგვალებული ერთადერთი ძროხა იდგა და პირში გაჩრილ ბზის ბლუჯას ახრამუნებდა.

— ეს რატომ არის აქა? — იკითხა ნიკო ყოჩიაშვილმა. —ავად ხომ არ გახდა?

ხბოს ელოდებაო, ერთხმად უპასუხეს დავით ბოსტოლანაშვილმა და ზაირა ალხანიშვილმა. უკანა ფეხები ძროხას გარდიგარდმო გაედგა და გატიკული ცური ვარდისფრად ულვივოდა. ფეხქვეშ, მშრალ ბზეზე, რძის წინწკლები იყო დაშხეფებული.

— ზაირა, შენგან არ მიკვირს? — უსაყვედურა მწველავს თავმჯდომარემ. — გამოცდილი ქალი ხარ და ეგრე უბრალო რამე როგო გეშლება?

ზაირა შეწუხდა, ნეტავი რა მეშლებაო, და შეცბუნებულმა ნიკოს თვალებში შეხედა.

— მე კი ნუ მიყურებ, შვილო, ამას უყურე, — დაუყვავა ყოჩიაშვილმა და ქვასავით გამაგრებული ცურიდან ნემსის წვერივით წვრილ ნაკადად მომავალ რძეზე მიუთითა. — რამდენჯერ მითქვამს, მოსაგებ ძროხას მწვანე ბალახს ნუ მივცემთ, რომ რძე არ ჩაუდგეს და არ შეაწუხოს. აბა, ეს საქმეა? რასა ჰგავს, მოგიკლავთ საწყალი!

— მერე ვინ მისცა მწვანე ბალახი რო, — გამოესარჩლა მწველავს ბრიგადირი ბოსტოლანაშვილი, ძროხას წინიდან მოუარა და კბილებიდან ბზე გამოწიწკნა. — ბზესა ჭამს, რა რძე უნდა ჩაუყენოს!

ნიკო ყოჩიაშვილი არ გატყდა:

— მა ეს რა არი, კაცო, ვერა ხედამ, თავისით მოსდის რძე! შენ მე მასწავლი?

ის, რასაც თავმჯდომარე უსაყვედურებდა, სადავო მართლაც არ იყო, და გაფიცხებულმა ბრიგადირმა, როცა შეატყო, ნიკოც გაფიცხდაო, ხმას დაუწია, ზაირას ძლივს გასაგონი ხმით უთხრა:

— მაიტა ვედრო, ეს დალოცვილი კიდევ გამოვწველოთ!

ვედროს მოსატანად წასულ ზაირასთვის აღარ დაგვიცდია, გრძელი ბოსელი ბოლომდე გავიარეთ და ფერმის ეზოში უკანა კარიდან გავედით. აქედან კარგად მოჩანდა მწვანედ მობიბინე ნათეს საძოვარზე გაშლილი საქონელი და ბზის ზვინები, კაშკაშა მზის სხივებზე ბაჯაღლო ოქროსფრად რომ ბრწყინავდა.

— ასე პირდაპირ რომ ვიაროთ და ზემო ქედისაკენ არ გადავუხვიოთ, სად მივალთ? — ვკითხე მე ნიკო ყოჩიაშვილს და ხელი აღმოსავლეთისაკენ გავიშვირე, საიდანაც, ჩემი ვარაუდით, დილას მზე ამოვიდა.

— ელდარში!

— იქაც საძოვრებია?

— საძოვრები, იქ ცხვრის ფარები დაგვიდის!

— ეგეც შირაქის ველია?

— შეიძლება ითქვას, თუმცა სახელი სხვა აქვს. ასე არ არის, დავით? — ნიკო ბოსტოლანაშვილს მიუბრუნდა. — გვეკითხება, იქით, აღმოსავლეთით, რა ქვია მიწებსო.

ბოსტოლანაშვილმა გაიკვირვა:

— შირაქია, სხვა რა!

— სულ შირაქია? — ნიკო უკვე იღიმებოდა. — შენ მთელი ქვეყანა შირაქი ხომ არა გგონია?!

— მგონია და არ არის? აქ, საითაც გაიხედავ, ყველგან შირაქია!

— იყოს, რაკი შენ აგრე გინდა. ახლა გაგზავნე ვინმე, ან თავად წადი და შენს სეხნიას დაუძახე.

— დათოსა?

— ჰო, მაშ ვისა. რას აკეთებს ამდენ ხანს, აქ ხომ არ უნდა დაგვალამებინოს!

— „ბელარუსმა" გვიღალატა. ამ დილას ველარ დავქოქეთ.

— ყოჩაღ! მერე როგო ამხელთ სირცხვილითა? ხალხი კოსმოსში დადის და თქვენ „ბელარუსი" ველარ დაგიქოქიათ? ცივი იქნებოდა. უნდა გაგეთბოთ.

— რავი, ცივი იქნებოდა თუ ცხელი, ველარ კი დავქოქეთ. ვნატრობდით დათოს მოსვლას. მოვიხედეთ და ამ დროს მართლა არ მოხვედით?

ბრიგადირს ეს სიტყვები არც კი დაემთავრებინა, რომ ნამჯის ზვინების მხარეს, საკვებით სავსე გრძელი ფარდულების გადაღმა, რაღაცამ მჭახედ გაიტკაცუნა და მალე ეს ტკაცუნი ტრაქტორის ძრავის გაბმულმა და თანაბარმა გუგუნმა შეცვალა.

— ყოჩაღ, დათო, მალარიჩი გეკუთვნის! — შესძახა სიხარულისაგან თვალებგაბრწყინებულმა დავით ბოსტოლანაშვილმა. — რა გვეშველებოდა, ეგ რომ არა გვყვანდეს! — და როცა შეატყო, წასვლას აჩქარიანო, თავმჯდომარეს შეაპარა: — არ დარჩებით, ჩვენთან პურს არ გატეხამთ?

— სამთაწყაროში მივდივართ, — მკაცრად მოუჭრა ნიკომ. — იქ ხალხი გველოდება!

— იქიდან ამაიარეთ. ჩვენ აქ რამეს გავახერხებთ. პურშავი კაცი დამიძახე, თუ შაგარცხვინო! ე უშობლების ჩამოყვანა აგრე უმძრახად ჩავატაროთ?

— აი, თუ სტუმარი იტყვის, ყაბულს ვარ, არადა... — ნიკო ყოჩიაშვილმა თავგამოდებული მასპინძელი ჩემზე მოუშვა და თავისებურად ხმადაბლა ჩაიცინა.

მუდარით აღვსილი თვალები დავით ბოსტოლანაშვილმა ახლა მე მომაპყრო, მაგრამ მეტი სიტყვა ველარ იპოვა და გულდაწყვეტილი აგვედევნა.

*გაგრძელება. დასაწყისი იხ. „კომუნისტი" № 41.*

## 3.

**არხილოსკალო** ზემო ქედსა და ქვემო ქედს შორის არის გაჩრილი და მათთან ერთად სამხრეთით რომ შირაქის ველს გასცქერის, ჩრდილოეთისაკენ თვალუწვდენელ ალაზნის ველსა და მარად თოვლიანი კავკასიონის ქედის უწყვეტ ჯაჭვს გადაჰყურებს. აქ, არხილოსკალოში, დღესაც გიჩვენებენ ადგილს, სადაც კახეთის ამწიოკებელი უკანასკნელი შემოსევის დროს, სისხლმოწყურებულმა შაჰ-აბასმა უღელში ხარები შეაბმევინა და ყიზილბაშებს ჩვილი ბავშვების კალო ალეწვინა. თუ ხალხურ გადმოცემას დავუჯერებთ, სოფლის სახელიც აქედან უნდა იყოს წარმომდგარი. ნაკალოვარ ადგილზე დღესაც არავინ სახლობს, თუმცა სოფელი მჭიდროა და სახლსა და სახლს შუა, რომ იტყვიან, ნემსიც არ ჩავარდება.

ხეხილნარში ჩაფლული სახლების მწკრივს გასცილდები, ორასიოდე ნაბიჯით წინ გახვალ და აღტაცებისაგან ენა დაგებმის.

ჩალისფრად მოლაღანე უზარმაზარი ველის შუაგულში წყალუხვი ალაზანი ლაპლაპებს, ლაპლაპებს და თვალსა გჭრის. ის სწორედ შენს ფერხთით დაკლაკნილა, ფანტასტიკური ნახევარრკალები მოუხაზავს და მდორედა და უხმაუროდ მოედინება. რესპუბლიკის საზღვარი სწორედ ამ დაკლაკნილ ხაზს გასდევს. ალაზანგამოღმა კახეთია, ალაზანგაღმა — საინგილო.

ნეტა ვინ იყვნენ ის ბავშვები, პირსისხლიანმა შაჰ-აბასმა კალოზე ძნის მაგიერ რომ გაალეწვინა? გამოღმელები თუ გაღმელები? ძნელია, ალბათ, ამის სარწმუნოდ გამორკვევა და დადგენა, მაგრამ ერთი რამ კი ეჭვს გარეშე გვრჩება: ალაზანს გაღმაც და გამოღმაც ის ერი ცხოვრობდა, რომლის ამოძირკვა

რევაზ ჯაფარიძე

# ალაზანი დიდია

და პირისაგან მიწისა აღგვა სპარსეთის სასტიკმა მპყრობელმა თავის ღმერთს აღუთქვა და ნაწილობრივ კიდევაც აღასრულა დანაქადი. გაჩეხა ბაღი და ვენახი, როგორც შეიძლო, წაშალა კულტურული მეურნეობის ყოველგვარი კვალი, წინ გაირეკა ყველა, ვინც კი ხელთ იგდო და სპარსეთის უდაბური ველები სამშობლოს სამარადჟამოდ მოწყვეტილი ქართველის მდუღარე ცრემლით გაალტო. ლურჯი კავკასიონის კალთებზე, თავზე რომ სპეტაკი თოვლის შარავანდედი ადგათ, ლაღად შრიალებენ უღრანი ტყეები, დღეს უკვე ნადირ-ფრინველით სავსე სახელმწიფო ნაკრძალები, სადაც მტრის მსახვრალ ხელს გადარჩენილი ამ მიწის დედაწული თავს აფარებდა და ალაფითა და ტყვეებით ავსილი მომხვდურის წასვლას უცდიდა, რომ გამოსულიყო და კერაზე კვლავ ცეცხლი გაეჩაღებინა.

მას შემდეგ თითქოს არაფერი შეცვლილა. ველიც იგივეა და ეს ლურჯი მთებიც, ძილშიაც რომ მოსვენებას არ აძლევდნენ სამშობლოს მხსნელი განათლების მისაღებად ცხრა მთას იქით გადახვეწილ ილია ჭავჭავაძეს, მრავალჯერ სისხლით შეღებილი ალაზანიც დალმა მიდის და კახეთის მცხუნვარე მზეც კვლავინდებური ძალით შაშრავს ველ-მინდვრებს, მხოლოდ ისტორიის ქურაში გამომწვარი აქაური კაცი შეიცვალა, სრულიად სხვა თვალით შეხედა მშობელ მიწას და ბუნების მკაცრი ძალები თავის სამსახურში ჩააყენა.

დიახ, ეს სიტყვები პათეტიკურად ჟღერს, მაგრამ, დამერწმუნეთ, რომ ზემოთ თქმული სულაც აღარ მოგეჩვენებათ პათეტიკად, თუ არხილოსკალოს ციცაბო დაღმართებით ალაზნის ველზე ჩაივაკებთ, მას სამხრეთიდან ჩრდილოეთისაკენ უმოკლესი გზით გადასერავთ და ჭადრებით, ვერხვებითა და ასწლოვანი მუხებით დაბურულ ჭალაში ალაზანს სოფელ სამთაწყაროს მიდამოებში მიადგებით.

აქ დღემდე წარმოუდგენელი რამ ხდება და მის არსებობას ვერც კი დაიჯერებ, სანამ საკუთარი თვალით არ იხილავ!

გზას სულ თავდაღმა და თავდაღმა მიყავხარ. მარჯვნივ და მარცხნივ სავენახედ გადაბრუნებული მინდვრებია. ჯერ კიდევ შარშან აქ ხორბალი ითესებოდა. სახნისს მიწის გული ღრმად ამოუტრიალებია და უამრავი ქვა და ლოდი ზემოდან მოქცეულა. აქ მევენახეობის საბჭოთა მეურნეობა „ფიროსმანი" იქნება, რომელიც მუშახელით ძირითადად სოფელმა სამთაწყარომ უნდა უზრუნველყოს. რამდენიმე ათას ჰექტარ ფართობზე გაშლილი „ფიროსმანის" ვენახები ალაზნის წყლით მოირწყვება. მაგრამ როგორ? ალაზანი ქვემოთაა, ქედის ძირში, ვენახები კი ფერდობზე შენდება!..

ნუ ვიჩქარებთ, კვლავ განვაგრძოთ გზა.

ალაზანს ხუთასიოდე ნაბიჯზე რომ მიუახლოვდები, ჩაკიდებულ თავქვეში რკინის ვეებერთელა მილების ექვს წყებას დაინახავ. ერთიმეორის პარალელურად განლაგებული ეს ექვსი მილი, თითოეულში ორი წლის მოზვერი რომ თავისუფლად გაძვრება, ალაზნის პირიდან ამოდის და ზედ გადასახედზე წამომართულ აგურისა და რკინაბეტონის თვალშეუდგამ კოშკებს უერთდება.

რა უნდა იყოს? რისთვის გაუწევიათ ამოდენა შრომა? რას მოასწავებენ ეს ვეებერთელა ამწეები, ექსკავატორები, მიწის სათხრელი მანქანები და ათასი სხვა რამ, სამშენებლო მოედნისათვის ჭარბად რომ მოუყრიათ? რა გუგუნი და გრიალი ისმის, ან ალაზნის აქეთა ნაპირი რად მოუპირკეთებიათ ბეტონის დიდრონ-დიდრონი ფილებით? რა დანიშნულებას ასრულებენ მკლავის სიმსხო ფოლადის გვარლებით ბეტონის კნექტებზე მკვიდრად დამაგრებული ბარჟები შუა ალაზანში?

ეს სამთაწყაროს წყალსატუმბი სადგური გახლავთ. მისი სათავე ნაგებობის მშენებლობა დასასრულს უახლოვდება. ამჟამად სადგურიდან ქედის მიმართულებით, საიდანაც აქ ჩამოვედით, ღრმა არხები გაჰყავთ, რომლებშიაც მილებს ჩააწყობენ და ალაზნის წყალს აღმართში გზას მისცემენ. ზემოთ მილიონობით კუბური მეტრი წყლის დამტევი საგუბარი შენდება. მომავალი საგუბრიდან სარწყავი წყლის გამანაწილებელი მიწისზედა არხები უკვე გაყვანილია. ეს იმას მოასწავებს, რომ კიდევ ცოტა დროც და ალაზანი სამთაწყაროს ფერდობებზე შეფენილ ათასობით ჰექტარ ფართობებს მორწყავს და კახეთის ამ მხარეს გულის შემაღონებელი გვალვისაგან საშვილიშვილოდ გამოიხსნის.

იმ ადგილას, საიდანაც წყალი უნდა ამოიტუმბოს, დინჯი ალაზანი ღრმა კანიონში მიედინება. რამდენადაც უნდა ადიდდეს და მოიმატოს, მისი წყალი კანიონს ვერასოდეს ვერ ამოავსებს. სწორედ ამიტომ აურჩევიათ ეს ადგილი ამოსატუმბავი მილების ბოლოების მდინარის მორევში ჩასაშვებად. ბეტონის ფილებით მოგებულ ნახევრად ვერტიკალურ აქეთა კედელზე დაწყობილი მილები მოძრავი მუხლებით უერთდება ბარჟების წიაღში ჩამონტაჟებულ სხვა მილებს, რომლებიც, მორევის ზედაპირზე მოტივტივე ბარჟების წყალობით, მდინარის დონის ნებისმიერი ცვლილების დროს თავიანთ პირვანდელ მდგომარეობას ინარჩუნებენ.

გული როგორ მოგითმენს, ახლოს არ მიხვიდე, ყველა წვრილმანი არ გამოიკითხო და გრანდიოზული, ჩვენი რესპუბლიკის პირობებისათვის სავსებით უნიკალური წყალსატუმბი სადგურის მუშაობის პრინციპი არ შეიტყო!

მაგრამ ამ ახალი საქმის გარშემო ყველაფერი ჯერ როდი გვითქვამს. ალაზნის წყალი უახლოეს მომავალში მარტოოდენ სამთაწყაროს, მილარისა და ენამთის ფერდობებს როდი მორწყავს. იგი თითქოს ცათამბჯენის ას მეერთე სართულზე ატყორცნილ შირაქის ველსაც ააღწევს და უნაყოფო მთის გულში გატარებული გვირაბით ზილიჩის ტრამალზე გაიჭრება!

რით არ არის ტექნიკური რევოლუცია? მსგავს სასწაულს, რომლის მოწმე უკვე ვხდებით, კაცი ოცნებითაც ვერ წარმოიდგენს!

ასე დიდ სიმაღლეზე დიდძალი წყლის ერთდროულად ატუმბვას, რაღა თქმა უნდა, აურაცხელი ელექტროენერგია დასჭირდება. დასჭირდება და კახეთს ის საქართველოს სხვა კუთხეებმა უნდა მიაწოდონ. არც ამ ურთულესი სამუშაოს შესრულებაა სახვალიოდ მოტოვებული. აქეთ უკვე მოემართებიან მაღალი ძაბვის დენის გადამცემი ხაზები და პრეისტორიულ ალაზნის ველს ეპოქის დამახასიათებელ იერს აძლევენ. ქვესადგური უკვე აუგიათ. თავისი საერთო მოცულობითა და სიმძლავრით იგი არც ერთი საშუალო ჰესის გადამცემ ქვესადგურს არ ჩამოუვარდება.

სასმელი წყლის პრობლემა, როგორც მოგზაურობის პირველსავე დღეს რაიკომის ახალგაზრდა მუშაკმა, გოდერძი აბულაშვილმა ნიკო ყოჩიაშვილის სამუშაო კაბინეტში მითხრა, წითელწყაროს რაიონში, სხვებზე უწინარეს კი შირაქის ველის სოფლებსა და ფერმებში, ჯერჯერობით კვლავაც რჩება უპირველეს პრობლემად.

მაგრამ, იკითხავს დაინტერესებული მკითხველი, როგორ არსებობდნენ აქამდე ისინი უწყლოდ? საიდან მოჰქონდათ სასმელი წყალი, ანდა დღეს როგორ არის ამ მხრივ საქმე?

ქედზე, მის ჩრდილო კალთაზე, სოფელ ქვემო ქედის ბოლოს, ოდითგანვე იყო ერთადერთი წყარო, საიდანაც წყალს დიდი გაჭირვებით, ცხენებით, სახედრებით, ზურგით, ურმებზე შემოდგმული კასრებით ეზიდებოდნენ და, როგორც ყველაფერზე უფრო სანუკვარ რამეს, ზედ დაჰგურგურებდნენ, რომ წვეთი რომ წვეთია, უბრალოდ ისიც არ დაელევარათ.

რესპუბლიკის მთავრობამ ყურად იღო ქედელ მცხოვრებთა გასაჭირი და არცთუ დიდი ხნის წინათ სამთაწყაროს წყალსატუმბი სადგურის წინამორბედი შექმნა. ეს შედარებით ნაკლები მწარმოებლობის წყალსატუმბი სადგური, რომელიც ქედებსა და არხილოსკალოს სასმელი წყლით ამარაგებს, იმავე სამთაწყაროს მიდამოებშია, ალაზნის პირას. სასმელი წყალი აქამდე ალაზანგაღმიდან, საინგილოდან მოდის თვითდინებით და აქედან კი ორი მძლავრი ტუმბო მას ქედებზე ქაჩავს. სამწუხაროდ, დებეტი მცირეა. უფრო სწორად, საინგილოდან მოსული წყლის მნიშვნელოვანი ნაწილი უსარგებლოდ იღვრება და ალაზანს ერთვის. ეს იმ დროს, როდესაც შირაქის ველის სოფლები და ველზე გაბნეული ფერმები, უწყლოდ გაძლება ერთი წუთითაც რომ არ შეუძლიათ, იძულებული ხდებიან მცირედით დაკმაყოფილდნენ.

— ამჟამად რესპუბლიკის მინისტრთა საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება და ახლო მომავალში სასმელი წყლის სატუმბი სადგურის ძირფესვიან რეკონსტრუქციას შევუდგებით, — მითხრა პარტიის რაიკომის პირველმა მდივანმა ჟიულიენ ყარაულაშვილმა, როცა მასთან ერთად სადგური მოვინახულე და, საინგილოდან რკინის მილებით მოსული წყაროს წყლით პირი გავისველე. — წყლის მიწოდება რომ არ შევაფერხოთ, არხში მეორე წყება მილები ჩაიყრება და მოძველებულ ტუმბოებსაც ახალი, უფრო მძლავრი ტუმბოებით შევცვლით!

ამაზე უკეთესს რას გააკეთებს მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტრო, ვისი თაოსნობითაც ასე დიდი საქმეები კეთდება და იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ მომავალშიაც გაკეთდება!

სამთაწყარო, შეიძლება ითქვას, ახალი სოფელია, მაგრამ ახალ და ძველ უბნებად მაინც იყოფა. ძველ უბანში ინგილოები ცხოვრობენ, რომელნიც ალაზანგაღმიდან ამ რამდენიმე წლის წინათ გადმოსახლებულან და სამუდამოდ აქაური მკვიდრნი გამხდარან, ახალი უბანი კი ამჟამად შენდება და მშვენდება. კედლების ამოსაყვან საშენ მასალად ჯაფარიძელთა განთქმული აგური გამოუყენებიათ. მისი დანახვა თვალს ახარებს. სახლები ყველა ორსართულიანია და ყოველი სათავსო, რაც კი მევენახე გლეხის ოჯახს სჭირდება, გარდა ბოსლისა, საქათმისა და საღორისა, ერთი სახურავის ქვეშ არის მოქცეული.

ამ სახლებს სახელმწიფო აშენებს გრძელვადიანი კრედიტით. კრედიტის ნახევარს, როგორც სამთაწყაროს მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის დირექტორმა არჩილ ვეშაგურმა გვაცნობა, საბჭოთა მეურნეობა დაფარავს, ნახევარი კი თვით მობინადრემ უნდა გადაიხადოს ოცი წლის განმავლობაში. თითოეულ ოჯახს საკარმიდამო ნაკვეთად ნახევარი ჰექტარი მიწა ეძლევა. აქედან ათას ორასი მეტრი სახლს ზედ ეკვრის და საეზოვედ და საბოსტნედ არის განკუთვნილი.

უკვე დამთავრებულ ბევრ სახლში შუახევის რაიონის სოფელ ნაღვარევიდან ჩამოსახლებული აჭარელი ძმები დამკვიდრებულან. სამთაწყაროში საქართველოს ყოველი კუთხიდან ელიან ჩამოსახლების ახალ მსურველთ. მათთვის სულ ახალი და ახალი კეთილმოწყობილი სახლები შენდება.

საქვეყნოდ უნდა გავამხილო აქაური ხელმძღვანელები: სხვაზე მეტი იმედი ისევ ხალხმრავალი აჭარისა აქვთ. იქ, აჭარაში, მოსახლეობის მნიშვნელოვანი სიჭარბეა — მიწა აღარ ჰყოფნით ახალი კომლების შესაქმნელად, არადა მოსახლეობა იზრდება, მატულობს, ყოველ ახალშექმნილ ოჯახს თავისი საკუთარი ჭერი უნდა! დასახლების სიმჭიდროვით აჭარა ხომ რესპუბლიკის სხვა კუთხეებს ბევრად აღემატება და მესხეთისა და კახეთის რაიონებში აჭარლების ნებაყოფლობითი და გეგმაზომიერი ჩასახლებით, რაც კარგა ხანია უკვე დაიწყო, ორი საშვილიშვილო საქმე ერთად კეთდება: აჭარასაც ეძლევა თავისუფლად ამოსუნთქვის საშუალება და შედარებით მეჩხრად დასახლებულ რაიონებსაც ემატება ახალი მკვიდრი მუშახელი.

## 4.

**გზა** დასავლეთისაკენ ბეტონის დამრეცკედლებიან ღრმა არხს გასდევს. მიწა აქ ნაჭაობარია. ალაგ-ალაგ წვიმის შემდეგ დარჩენილი დიდრონი გუბეებიც ჩანს. აქა-იქ არტეზიული ჭები გაუბურღავთ. მიწაში ჩაყრილი რკინისა და ბეტონის მილებით წყალი ვენახებშია გაყვანილი და გულდაგულ დამუშავებულ ნიადაგს რწყავს. დავით ლეკიაშვილი მანქანას მარჯვედ მართავს, ცდილობს, სწორ ადგილებზე იაროს, მაგრამ მისი გლეხური გულმოდგინებით გამომუშავებული ოსტატობა ხშირად მაინც ამაოა, ნაგზაურში მანქანას უჭირს ისე გავლა, რომ სადმე მუცელი არ წაჰკრას.

— ნელა, შვილო, — დამრიგებლურად უთხრა ნიკო ყოჩიაშვილმა შოფერს. — ემანდ არხში არსად გადაგვჩეხო. მინდორზე გადი. ხომ ხედამ, აქ ვერ გავალთ!

დავითმა არაფერი უპასუხა, მხოლოდ კუპრივით შავ ულვაშებში ჩაიღიმა, მინდორზე კი მაინც არ გადავიდა, კვლავ ნაგზაურს გაჰყვა და მალე ის ძნელად გასავლელი ადგილიც უკან მოიტოვა.

— ჯიუტი კაცი ხარ, დათო, ჩემმა მზემ, — თქვა კმაყოფილმა ნიკომ. — რომ რამეს გამოვდებოდით? გინდა, ზიკზიკა მანქანა ტრაქტორს ათრევინო? მაშინ მარტო შენ ჩაჯექ, ჩვენ შიგ აღარ ჩაგიჯდებით!

დავითმა ისევ ჩაიღიმა შავ ულვაშებში, რადგან მამასავით საყვარელი ადამიანის ცალუბა საყვედური აშკარად სიამოვნებდა და სიჩქარეს შეუმჩნევლად მოუმატა.

— აქეთ ძალზე უხეირო გზები ყოფილა, — ჩავილაპარაკე მე ჩემთვის.

— უხეიროო? — თავის ფიქრში წასულმა ნიკო ყოჩიაშვილმა ყური მოჰკრა ნათქვამს და უკანასკნელ სიტყვას ჩაეჭიდა. — უხეიროზე მეტი კი არ არის? ცუდი ზნე გვჭირს, რაც მართალია, მართალია და კარგა ხანს, ალბათ, ვერც მოვიშლით. როცა კაცი რამეს აშენებ, დიდსა თუ მცირეს, ჯერ იქამდე გზა და წყალი უნდა მიიყვანო და სამშენებლო მოედანი მოამზადო. აგრე არ არის?

აგრეა-მეთქი, უყოყმანოდ დავეთანხმე.

— ჩვენ კიდევა პირიქით ვიქცევით: ჯერ მშენებლობას ვიწყებთ, ავად თუ კარგად ვითომ კიდევაც ვამთავრებთ და გზისა და წყლის გამოყვანაზე ზრუნვა მერეღა გვაგონდება. განა მარტო აქა, სხვაგანაც აგრეა. ძალით ვაბნელებთ დღესავით ნათელ საქმესა.

წარმოვიდგინე, რა იქნებოდა აქ თავსხმა წვიმების დროს, იმედის თვალით ცას შემყურე მევენახეს ხშირად შუაგულ რთველში რომ წამოეწევა ხოლმე და სიკვდილს მონატრებს.

ნიკო ყოჩიაშვილი თითქოს ფიქრს მიმიხვდა:

— თუ მოწვიმა და მიწა გაალბო, მერე ხომ აღარა ღირს ჩვენი ცხოვრება. აქ სამხიდიანი დიდი სატვირთო მანქანები და ტრაქტორებიც კი ეფლობიან. ჩაეფლობი და ძვრას ვერ იზამ. გაის ამ დრომდე შიგ ჩარჩები. ტექნიკა ცალკე გვიცდება და ხალხიც სულ ტყუილ-უბრალოდ იტანჯება. ჩემმა მზემ. ნუ დასწერ, უფროსებს არ ეწყინოთ და, — ნიკომ ხმას დაუწია. — აბა, ვენახი რაისთვი მინდა, თუ ყურძენი ვერ მოვკრიფე და ვერ გამოვიტანე! აქ დავალპო? შენ ხომ იცი, სოფელში გაზრდილი კაცი ხარ, რა წვალება და ჯახირი უნდა იმ დალოცვილის მოყვანასა!

ვიცი, როგორ არ ვიცი, ანდა ვინ არ იცის, ვინ ვერ გაიგებს აქაური კაცის გულისწუხილსა და სატკივარს. ნიკო ყოჩიაშვილს ამიტომაც კითხვა შევუბრუნე:

— რა გვიშლის ხელს, რატომ ახლა მაინც არ ვიწყებთ გზის მშენებლობას?

ნიკო დაფიქრდა, თვალი ახალგასხლული ვენახის უწყვეტ მწკრივებს გააყოლა.

— ეგ უფროსებს უნდა კითხოს კაცმა, სოფლტექნიკას და გზატკეცილების სამინისტროს, ჩვენ ყბა მოგვეღალა ხვეწნითა და მუდარით. განა ცოტას აკეთებენ. ამას არ ვამბობ. მეტი გვინდა. ახლა იმასღა ვნატრობ, ღმერთმა ისე არ მამკლას, სამთაწყაროსა და მილარში წესიერი გზა არა ვნახო!

ნიკომ ეს ვითომ ხუმრობით თქვა, მაგრამ ყველა მიხვდებოდა, რომ აქ სახუმარო არა იყო რა. უკლებლივ ყველა საქმე წყალში ჩაიყრება, თუ სავენახე მიწის ეს თვალუწვდენელი მასივები, მათთან ერთად, რასაკვირველია, უკვე მსხმოიარობაში შესული ვენახები, მოკირწყლული გზებით არ დაიქსელა, როგორც მრავალ კულტურულ ქვეყანაში გვინახავს, და ტექნიკასა და ავტოტრანსპორტს თავისუფალი მიმოსვლის გასაქანი არ მიეცა. აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ ის გარემოებაც, რომ რაიონში ღვინის ორად ორი ქარხანაა და ყურძნის მთელი მოსავალი (წლეულს მან 52 ათას ტონას მიაღწია!) წითელწყაროს ან ქვემო ქედის ღვინის ქარხანაში უნდა დაიწუროს. გული გეტკინება, რთველზე აქაურ ამბებს რომ უყურო. ყურძნით დატვირთული თვითმცლელი მანქანები, მას შემდეგ, რაც ალაზნის ველის ოღროჩოღრო გზებს გაივლიან, ქვემო ქედის ან არხილოსკალოს ციცაბო აღმართს შეუდგებიან და ჯაყჯაყში დაჭყლეტილი ყურძნის წვენიც უმოწყალოდ იღვრება, გლეხკაცის გამრჯე მარჯვენით მოყვანილი მოსავალი თითქმის ნახევრდება.

ვის და სად უნახავს ამგვარი რამ? როდემდე უნდა მოვითმინოთ ეს ყოვლად შეუწყნარებელი უყაირათობა?

ეჭვსგარეშეა, მოსავლის ზრდის შესაბამისად უნდა გაიზარდოს მისი გადამუშავებისა და ღვინის დაყენება-შენახვის ტექნიკური საშუალებებიც!

სწორედ ამ მიზნით გადაწყდა, რომ წითელწყაროს რაიონში კიდევ ერთი ღვინის ქარხანა აეშენებინათ, მაგრამ რატომღაც არა იქ, სადაც ყურძენი მოჰყავთ — ალაზნის ველზე, არამედ თვით რაიონულ ცენტრ წითელწყაროში.

ქარხნის დამპროექტებლებს, ეტყობა, მხედველობიდან გამორჩათ ის უბრალო ამბავი, რომ ღვინის ქარხანა თავისთავად არავითარ ღირებულებას არ წარმოადგენს, თუ ის ყურძენს არ დაწურავს და ღვინოს არ დააყენებს, ყურძენი კი აქედან, წითელწყაროდან, რამდენიმე ათეულ კილომეტრზეა!

ცოტა დავა, საქმიანი ქაღალდების გაგზავნ-გამოგზავნა, ექსპერტების მისვლა-მოსვლა და ფარებისა და შუბების ლეწვა როდი გახდა საჭირო, რომ შესაბამის ხელმძღვანელ ორგანოებს ღვინის მესამე ქარხნის უკვე დამტკიცებული პროექტი შეეცვალათ და ქარხნის ასაშენებელ ადგილად ალაზნის ველი აერჩიათ.

ვისაც არ ეზარება, დაჯდეს და გამოიანგარიშოს, რამდენი კაცდღე იზოგება ამით, სატვირთო მანქანების რამდენი ათასი რეისი გამოთავისუფლდება და რამდენით მოიკლო თითოეული კილოგრამი ყურძნის თვითღირებულებამ!



მეფრინველეობის ფერმის გამგე ვიქტორ გოგოლაშვილი.

ვ. გენგიურის ფოტო.

მე და ჩემი თანამგზავრები ამასობაში მილარის მეკამეჩეობის ფერმას მივადექით. იმ ადგილას, სადაც ახლა ფერმაა, ორიოდე ათეული წლის წინათ გაუვალი ჭაობი ყოფილა. მალარია შეუბრალებლად ცელავდა ყველას, ვინც ჭაობს მიუახლოვდებოდა და აქ ბინას დაიდებდა. ნაჭაობარი დღეს მთლიანად დამშრალა და ნაყოფიერ სავარგულად ქცეულა. ფერმის სადგომებს ირგვლივ იონჯით, ესპარცეტითა და ქერით გადამწვანებული სათიბ-საძოვრები ერტყმის. ისევე როგორც შირაქის მეძროხეობის ფერმაში, ნაკვეთები აქაც გადატიხრულია ეკლიანი მავთულის ღობეებით და შიგ ბოსლიდან გამორეკილი ცურსავსე ფურ-კამეჩები ბალახობენ.

— მარტო აქ იონჯა 79 ჰექტარზე გვითესია, — ნიკო ყოჩიაშვილმა ხელი გაშალა და თვალუწვდენელ მინდორს მოატარა. — წელიწადში შვიდჯერ ვთიბავთ და ჰექტარზე ოთხას ცენტნერ მწვანე მასას ვიღებთ. სასილოსე სიმინდსა და საკვებ ჭარხალს, დაკუწულ ნამჯაში რომ ვურევთ, კიდევ უფრო დიდი ფართობები უკავია.

კამეჩი, ბუნებასთან შეჭიდებული კახელი გლეხკაცის ეს ერთგული და განუყრელი მეგობარი, მისი ჭირისა და ლხინის მოზიარე, ქიზიყში უხსოვარი დროიდან მკვიდრობს. აკი ამ მადლიანი ცხოველის სახელის მიხედვით დაერქვა მთელ კუთხეს კამბეჩოვანი. ვისაც პაპანაქება სიცხეში ალაზნის მორევში მობანავე კამეჩები არ უნახავს და მათი ცქერით არ დამტკბარა, მერწმუნეთ, ბევრი რამ დაჰკლებია. სიცხისაგან შეწუხებული კამეჩები მორევში წვანან, განა სადმე მიცურავენ, წყალს ზემოთ მხოლოდ კისერზე გადაწყობილი შავი რქები მოუჩანთ და ნებივრად ფშვინავენ.

დღეს, კოსმოსური ხომალდებისა და მიწისზედა ტრანსპორტის უმაგალითო განვითარების ეპოქაში, კამეჩი, როგორც გამწევი ძალა, უკვე აღარავის ესაჭიროება, მაგრამ მის მოშენებას წითელწყაროს რაიონში კვლავაც მისდევენ და მეკამეჩეობა მცირე შემოსავალს როდი აძლევთ. საბუთად იმის გახსენებაც კმარა, რომ კამეჩის რძე ძროხის რძეს ცხიმოვანებით ორჯერ სჭარბობს. ერთი კილოგრამი სუფთა კარაქის მისაღებად ოცდაორი კილოგრამი ძროხის რძე არის საჭირო. ეს იმ დროს, როდესაც იმავე რაოდენობის კარაქის დამზადებას თერთმეტი კილოგრამი კამეჩის რძე სჭირდება.

— კამეჩის რძეს წყალს ვურევთ და ძუძუს მოწყვეტილი ჩვილი ხბოების გამოსაკვებადაც ვიყენებთ, — მითხრა ნიკო ყოჩიაშვილმა. — ამ რძით გამოკვებილი ხბო მალე იზრდება, ხორცს მალე ისხამს და ძროხის რძით გაზრდილ თანატოლებს ჯანმრთელობითა და გამძლეობითაც სჯობნის.

არა ნაკლებ ძვირფასია კამეჩის ხორცი. სახორცედ ახლა ძირითადად ხარ-კამეჩებს ასუქებენ და დასაკლავად მანამ არ იმეტებენ, ვიდრე მათი ცოცხალი წონა ხუთას-ექვსას კილოგრამს არ მიაღწევს.

— წავიდეთ თუ შევჩერდეთ აქა? — მკითხა ნიკო ყოჩიაშვილმა და კარის სახელურს მისწვდა.

— როგორც თქვენ ბრძანებთ, ბატონო ნიკო, — ვუპასუხე.

— კამეჩის მაწონი უნდა გაგასინჯო. ნახე, რა მაწონია! — თქვა ეს კვეხნითა და მანქანიდან გადავიდა, შემოგებებულ ფერმის მოსამსახურეებს მიესალმა, მიეხალისა. — როგოა საქმე? ხომ არაფერი გიჭირთ? წყალი კიდევ ხომ არ შემწყდარა?

— არა, ჯერ მოდის, — ერთხმად უპასუხეს საქმეს წუთით მოწყვეტილმა ფერმის მუშაკებმა და გვერდზე მოქცეული თუშური ქუდების ქვეშ კეფა მოიფხანეს.

— რა იყო, კაცო, რა გვერდზე იხედებით, — ნიკო ყოჩიაშვილმა წარბი შეიჭრა, თვალებში კი ისევ ღიმილი უდგა, ის ღიმილი, სახეზე რომ არასოდეს არ შორდებოდა. — რამე წაახდინეთ, თუ ჩვენი მოსვლა გეწყინათ?

— შაქროს აგური უნდა, — გაბედა ბოლოს ერთმა, წვერგაუპარსავმა შავ-შავმა გლეხმა. — ჩვენა გვთხოვა, აგე ნიკო მოდის და შამახვეწეთო.

— რომელ შაქროსა? — ჰკითხა ყოჩიაშვილმა.

— ამას, — გლეხმა მოშორებით მდგომი მასავით წვერგაუპარსავი გულმოღლილი ახალგაზრდა კაცი დაანახვა.

— თავად ენა არა აქვს? რაღა თქვენ დაგაყენათ მოციქულადა? უფრო ენაწყლიანები მყავხართ?

— უფრო ენაწყლიანები არა ვართ, მაგრამა... უთხარ, ბიჭო, ხმა ამაიღე, აქ არა ხარ, რაღა მე მალაპარაკებ!

ახალგაზრდამ, რაკი ახლა ყველა მას უყურებდა და კეთილმოსურნედ იღიმებოდა, დაიმორცხვა, თავი ჩაქინდრა და ფეხისწვერებს ჩააცქერდა.

— შაქრუა არა ხარ, კაცო, შენა? — დაუცაცხანა იმავე გლეხმა, ყველას სახელით თავმჯდომარესთან რომ შუამდგომლობდა, — უთხარი, ამაიდგი ე მუნჯი ენაი!

— რაღა ამოვიდგა, — თავი მხოლოდ წამით ასწია ახალგაზრდამ და ისევ ჩაღუნა. — შენ ხომ უთხარ!

— მაშ, აგური გინდა? — გაუადვილა საქმე ნიკომ. — მერე ბადრი იაკობიშვილი არა ნახე?

— ვნახე, როგორ არა.

— მერე?

— მინამ თავმჯდომარის ხელმოწერილ ქაღალდს არ მომიტან, გინდა თავითაც დაესო, მე ვერაფერს მოგცემოო.

— სწორად უთქვამს, მა როგო გეგონა. ხვალ აგურხანაში გადადი და ბადრი ნახე. ამბობენ, ახალ აგურს აღარა ჭრიან, მოყინვისა ეშინიათო. იქნებ შენი ხათრით ერთი ქურა კიდევ გამოწვან. სხვაცა მყავ მთხოვნელი. თუ შეიპირებ, ჩემგან დაბრკოლება არ იქნება. ბევრი გინდა?

— ოცი ათასი.

— ეგ ხომ ნახევარ სახლსაც ძლივს ეყოფა.

— მეც ნახევარი უნდა ავაშენო, მეტის წელი ჯერ არა მაქვს.

— აგრე, როგორც გითხარი, შვილო. აგურხანაში გადადი და ის ხალხი შეიპირე. ნიკომ გამომგზავნა-თქო. გაიგე? უფრო ხათრს მაიდებენ. მერე კანტორაში ამოხვალ და გამოგიწერთ. ფულსაც იქ გადაიხდი. ახლა გაიქე, ყმაწვილი კაცი ხარ, ნუ დაგვეზარდები, გუფეჩიკს სამი ქილა მაწონი გამოართვი და მოგვიტანე. სტუმარს ჯერ არ უნახავ და უნდა ვაჩვენოთ!

შაქროს ეს ხუმრობა ეგონა და მხოლოდ გაიღიმა, ადგილიდან კი არ დაძრულა.

— გაიქე, ბიჭო, ვერ გაიგე, რა გითხარ? — გაუმეორა ნიკომ.

შაქრო ახლა კი მიხვდა, თავმჯდომარე მართლა მეუბნება, მართლა ყოფილა ქვეყნიერებაზე სულდგმული, ვისაც კამეჩის მაწონი ჯერ არ უნახავს და არ უგემნიაო და გასაქცევად შეტრიალდა, მაგრამ უმალვე მობრუნდა.

— არ არი ბუფეტში მაწონი, ძია ნიკო, გუშინ და დღეს არ შეგვიყენებია!

— რა გითხარით მე თქვენ, აბა მილარში უმაწვნოდ ცხოვრება იქნება?

ფერმის მუშაკებმა ერთმანეთს გადახედეს, თვალიც ჩაუკრეს და ყველას მაგიერ ისევ იმ წვერგაუპარსავმა შავ-შავმა გლეხმა თქვა, წეღან შაქრობიჭს აგურის თაობაზე რომ შუამდგომლობდა:

— სტუმარი და მაწონი ვის გაუგია, ნიკოვ, მწვადსა და ენამთის ღვინოს კი დაგვიწუნებს? ნახევარი საათი, მეტი არ გვინდა, იგეთი სუფრა გაგიშალოთ, თქვენი მოწონებული!

— არა, არ გვინდა თქვენი მწვადი და არც ენამთის ღვინო. აი, ხვალ მოვალთ და თუ მაწონს დაგვახვედრებთ-კე, მერე ვნახოთ!

— დღეს დღეისა იყოს, კაცო, და ხვალ ხვალისა!

— წადი, დათო! აბა, კეთილად გვენახოთ! — თქვა ნიკომ და კარი შემოიხურა. — ენამთისაკენ! ბარემ მეღორეობის სასუქი მოედანი და სახორცე ფრინველის ფერმაც ვნახოთ!

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)



19 თებერვალი

ᲡᲐᲥᲓᲔᲡᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲐᲛᲑᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲔᲠᲗᲝᲡ ᲙᲝᲠᲔᲡᲞᲝᲜᲓᲔᲜᲢᲔᲑᲘ ᲒᲐᲒᲕᲘᲖᲐᲕᲜᲘᲐᲜ

ფაქტები
მოვლენები

# განიხილეს მოლაპარაკების შედეგები

ᲞᲐᲠᲘᲖᲘ. აქ გაიმართა მოლაპარაკება [illegible]

ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲞᲝᲚᲘᲢᲑᲘᲣᲠᲝᲡ ᲡᲮᲓᲝᲛᲐ

[illegible]

## კრებ: ბალტიმორის შრომის ბირჟაზე



მძიმე იყო გასული წელი შეერთებული შტატების მშრომელებისათვის. არც წლევანდელ წელს უჩანს სახიკეთო პირი. მასობრივი უმუშევრობა კვლავ ქვეყნის ერთ-ერთი უმწვავესი პრობლემაა. იგი ახალგაზრდობას ლამის ეპიდემიასავით მოედო. სულ უფრო იზრდება იმ ჭაბუკებისა და ქალიშვილების რიცხვი, რომლებიც უმაღლესი ან საშუალო სპეციალური სასწავლებლის დიპლომის მიღების შემდეგ საწარმოში კი არა, შრომის ბირჟაზე მიდიან.

სურათებზე: (მარცხნივ) შრომითი მოწყობის ცენტრი, როგორც ბირჟას ოფიციალურად უწოდებენ, აღჭურვილია უახლესი კომპიუტერებით, რომლებიც სწრაფად ამუშავებს ინფორმაციას და საჭირო ცნობას იძლევა. თუმცა ტექნიკის ეს მიღწევა ვერავითარ დახმარებას ვერ უწევს იმათ, ვინც თვეობით რიგში დგას, მაგალითად, ბალტიმორის შრომის ბირჟაზე (მარჯვნივ), სადაც 396 ათასი შრომისუნარიანი მცხოვრებიდან ყოველ მეათეს არავითარი სამუშაო არა აქვს.

საკდესის ფოტო.

# ამერიკის პრეზიდენტის გამოსვლა

## კონგრესის ერთობლივ სხდომაზე

**ᲕᲐᲨᲘᲜᲒᲢᲝᲜᲘ. ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა რ. რეიგანმა კონგრესის ერთობლივ სხდომას გააცნო თავისი ადმინისტრაციის მიერ შემუშავებული „ქვეყნის ეკონომიკური აღდგენის პროგრამა“.**

ამერიკის შეერთებული შტატების ეკონომიკის ახლანდელი მდგომარეობა, აღიარა პრეზიდენტმა, სავალალოა. ჩვენ ყველამ ვიცით, თქვა მან, რომ ზედიზედ ორი წელიწადია პირველად 60 წლის მანძილზე ინფლაცია ორნიშნა ციფრით გამოიხატება. ბანკების დისკონტის საპროცენტო განაკვეთებმა სესხებზე მიაღწია აბსურდულ დონეს, რომელიც აღემატება 20 პროცენტს და 15 პროცენტზე მეტია იმათთვის, ვისაც ბინის შესაძენად სჭირდება ფული. მთელ ქვეყანაში ნახავთ ცარიელ ახლად აშენებულ სახლებს, რადგან აქ ბინები ხალხისათვის მოუწვდომელია სიძვირის გამო.

ახლა უმუშევარია თითქმის 8 მილიონი ამერიკელი, თქვა შემდეგ პრეზიდენტმა. ამ ხალხს მუშაობა სწადია, მაგრამ გადის თვეები და მათ სასოწარკვეთილება ეუფლება. დათხოვნისა და უმუშევრობის საფრთხე მილიონობით სხვა ადამიანსაც ემუქრება. ისინი კი, ვინც მუშაობს, სასოწარკვეთილებას ეძლევიან იმის გამო, რომ ვერ უმკლავდებიან ინფლაციას. 67 პროცენტით გაიზარდა ფედერალური გადასახადები საშუალო შეძლების ოჯახებისათვის.

ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო ხომალდი, ხაზი გაუსვა მან, საჭეს აღარ ემორჩილება. ჩვენი სახელმწიფო ვალი ტრილიონ დოლარს აღწევს. მარტო პროცენტების სახით წლეულს 90 მილიარდ დოლარზე მეტია გადასახდელი. შრომის ნაყოფიერების ზრდის ტემპი, თქვა რ. რეიგანმა, რომელიც ოდესღაც ერთ-ერთი ყველაზე სწრაფი იყო მსოფლიოში, ახლა ერთ-ერთი ყველაზე ნელია წამყვან ინდუსტრიულ ქვეყნებს შორის. შრომის ნაყოფიერება ბოლო სამი წლის მანძილზე არსებითად შემცირდა კიდეც.

იმის იმედი არ უნდა გვქონდეს, აღნიშნა პრეზიდენტმა, რომ ვითარება გამოსწორდება, პირიქით, იგი გაუარესდება, თუ ახლავე არ ვიღონეთ რამე.

შემდეგ ახალი ადმინისტრაციის მეთაურმა ჩამოაყალიბა ოთხპუნქტიანი პროგრამა, რომელიც, მისი აზრით, „გააჯანსაღებს“ ქვეყნის ეკონომიკას. ეს პროგრამა, როგორც ამერიკელი პოლიტიკური მიმომხილველები აღნიშნავენ, მიზნად ისახავს კიდევ უფრო გაამდიდროს მდიდრები და გააღარიბოს ღარიბები.

პროგრამა, კერძოდ, ითვალისწინებს გადასახადების, უმთავრესად კორპორაციათა გადასახადების ერთგვარ შემცირებას. პრეზიდენტი აგრეთვე წინადადებას იძლევა 1982 საფინანსო წელს შეამცირონ სახელმწიფო ხარჯები სულ 49,1 მილიარდი დოლარით. როგორც მისი გამოსვლა ცხადყოფს, ეს შემცირება უწინარეს ყოვლისა სხვადასხვა სოციალური პროგრამის შეკვეცის ხარჯზე მოხდება.

მილიარდობით დოლარით შემცირდება უმუშევართა და სოციალური დახმარების, აგრეთვე სხვა პროგრამების ასიგნებანი, რაც მრავალი წლის შეუპოვარი ბრძოლით მოიპოვეს მშრომელებმა. 1,8 მილიარდი დოლარით იკვეცება ღარიბებისათვის სამედიცინო დახმარების პროგრამა. 1,6 მილიარდი დოლარი „დაიზოგება“ სასკოლო საუზმეთა ხარჯზე. მკვეთრად მცირდება საბინაო მშენებლობის ხარჯები.

„საბიუჯეტო ცული“ არ შეეხება მხოლოდ კოლოსალურ სამხედრო ხარჯებს. თავდაცვის სამინისტრო, თქვა პრეზიდენტმა, ერთადერთი დაწესებულებაა რომელსაც, პროგრამის მიხედვით, ფაქტობრივად გაუდიდდება ასიგნებანი ახლანდელ საბიუჯეტო ციფრებთან შედარებით. როგორც თეთრი სახლის მიერ გამოქვეყნებული დოკუმენტი ცხადყოფს, 1982 ფინანსურ წელს კიდევ 7,2 მილიარდი დოლარით გადიდდება სამხედრო ხარჯები, ხოლო 1984 წლისათვის რ. რეიგანის ადმინისტრაციას დაგეგმილი აქვს 27 მილიარდი დოლარით „გადააჭარბოს“ წინა ადმინისტრაციის მიერ დასახული სამხედრო ხარჯების ისედაც უპრეცედენტო დონეს და პენტაგონის ბიუჯეტი 250 მილიარდ დოლარამდე გაზარდოს.

როგორც ჩანს, ამერიკის შეერთებული შტატების ახალი ადმინისტრაცია აპირებს გამალებული შეიარაღების განგრძობას და უგულებელყოფს იმ ფაქტს, რომ სწორედ გიგანტური სამხედრო ხარჯებია ამერიკის ეკონომიკის კრიზისის ერთ-ერთი უმთავრესი მიზეზი. ამასთან დაკავშირებით გაზეთმა „ნიუ-იორკ ტაიმსმა“ აღნიშნა, რომ წინა ადმინისტრაციის ეკონომიკური პოლიტიკის მარცხი მნიშვნელოვანწილად განაპირობა სამხედრო ხარჯების მძიმე ტვირთმა.

სამხედრო-სამრეწველო კომპლექსისა და მონოპოლისტური წრეების ინტერესების შესაბამისად შემუშავებულმა და ამერიკელ მშრომელთა ცხოვრების დონის შემდგომი დაქვეითებისათვის გამიზნულმა რ. რეიგანის პროგრამამ ქვეყანაში უკვე გამოიწვია ფართო პროტესტი. საპროტესტო მოძრაობაში ჩაებნენ პროფკავშირები, საზოგადოებრივი და რელიგიური ორგანიზაციები, რომლებმაც გამოაცხადეს, რომ მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი იბრძოლონ სოციალური საჭიროებებისათვის ასიგნებათა შემცირების წინააღმდეგ კონგრესშიც კი. თუმცა აქ მემარჯვენეები ჭარბობენ, გაისმა უკმაყოფილო ხმები. მათ შორის, ვინც გაილაშქრა სოციალური პროგრამებისათვის განკუთვნილი ხარჯების შეკვეცის წინააღმდეგ, არის წარმომადგენელთა პალატის სპიკერი, დემოკრატიული პარტიის ერთ-ერთი ლიდერი ტ. ონილი.

# საპროტესტო ნოტა

**19 ᲗᲔᲑᲔᲠᲕᲐᲚᲡ** სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტრომ ამერიკის შეერთებული შტატების მოსკოვის საელჩოს გადასცა ნოტა იმის გამო, რომ შეერთებულ შტატებში ყოვლად უტიფრად ექცევიან საბჭოთა მოქალაქეების მ. ლ. და ა. მ. პოლოვჩაკების ოჯახს.

როგორც ნოტაში აღნიშნულია, მიუხედავად იმისა, რომ პოლოვჩაკებმა მკაფიოდ და გარკვევით გამოთქვეს სურვილი დაბრუნებულიყვნენ თავიანთ არასრულწლოვან შვილებთან ერთად საბჭოთა კავშირში, ამერიკის ხელისუფალნი კვლავინდებურად აბრკოლებენ მათ გამომგზავრებას შეერთებული შტატებიდან. უკვე ექვს თვეზე მეტია პოლოვჩაკების ორი შვილი — ნატალია და ვლადიმერი ამერიკის ხელისუფალთ ჰყავთ დაკავებული, რის გამოც მათი მშობლები, რომლებსაც არ სურთ შვილები ბედის ანაბარა დატოვონ ამერიკის შეერთებულ შტატებში, მოკლებული არიან შესაძლებლობას თავიანთი ნებასურვილისამებრ და უფლებისამებრ გამოემგზავრონ სამშობლოში. ამასობაში კი პოლოვჩაკებს გამუდმებით ემუქრებიან, რომ წაართმევენ მესამე ბავშვსაც, უმცროს ვაჟს, აშინებენ, რომ ფიზიკურად გაუსწორდებიან მათ, თუ ხელს არ აიღებენ საბჭოთა კავშირში დაბრუნების განზრახვაზე. ასე რომ, უხეშად და უტიფრად ითელება ფეხქვეშ საბჭოთა მოქალაქეების ღირსება, ისევე როგორც მათი, როგორც მშობლების უფლებები ზარდონ თავიანთი შვილები.

ნოტაში ხაზგასმულია, რომ ვერავითარი სასამართლო ფარსი, რომელიც პოლოვჩაკების შვილების ნატალიასა და ვლადიმერის მიმართ დედაშვილურ-მამაშვილური უფლებების საკითხის გამო გათამაშდა, ვერ დამალავს იმ სამარცხვინო ფაქტს, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებში ოფიციალურ ხელისუფალთა უშუალო მონაწილეობით ჩადიან უკანონო და სასტიკ მოქმედებას, რომლის მიზანია დაშალონ ოჯახი და თავი შეაკავებინონ საბჭოთა კავშირში დაბრუნებისაგან.

სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტრო კვლავ აცხადებს პროტესტს ამერიკის შეერთებულ შტატებში საბჭოთა მოქალაქეების, პოლოვჩაკების ოჯახის ძალით დაკავების გამო და მოითხოვს, რომ პოლოვჩაკებსა და მათ არასრულწლოვან შვილებს მიეცეთ შესაძლებლობა, რათა დაუყოვნებლივ და შეუფერხებლად გამოემგზავრონ სამშობლოში.

# დროების სახე

**ᲛᲨᲕᲔᲜᲘᲔᲠᲔᲑᲘᲡ**, სიკეთისა და ბედნიერების დასამკვიდრებლად არის მოწოდებული სსრ კავშირის სამხატვრო აკადემიის შემოქმედებითი სახელოსნოების ახალგაზრდა მხატვრების ნამუშევართა გამოფენა, რომელიც თბილისის სამხატვრო გალერეაში გაიხსნა. 200 ფერწერულ და სკულპტურულ ნაწარმოებში აისახა ბევრი რამ, რაც ასულდგმულებს ადამიანს — აღმშენებლობის სიხარული, საინტერესო ადამიანებთან შეხვედრები, ჩვენი თვალწარმტაცი სამშობლოს სხვადასხვა კუთხის, მისი დიდებული არქიტექტურული ძეგლების პოეზია. ყურადღებას იპყრობს მოსკოვის ოლქის მხატვრის მ. აბაკუმოვის ფერწერული ტილო „შემოდგომის ჯანღი“, თბილისელი ი. ვეფხვაძის „დისპუტი“, ლენინგრადელი მხატვრის ლ. გერვიცის „მებათქაშე ტანია“, მოსკოველი ფერმწერის ა. ზაიცევის „ვერანდაზე“, საბჭოთა მეცნიერებისა და ხელოვნების გამოჩენილ მოღვაწეთა, პარტიისა და შრომის ვეტერანთა სკულპტურული პორტრეტები.

გამოფენაზე ომახიანად ჟღერს თანამედროვეობის თემა. და ეს ბუნებრივიც არის, ექსპოზიცია ხომ სკკპ XXVI ყრილობას ეძღვნება და მან ასახა საბჭოეთის დღევანდელი ცხოვრება, თანამედროვეების, მეათე ხუთწლედის გმირთა სახეები.

— ექსპოზიცია იმით არის საგულისხმო, რომ იგი გვაცნობს ჩვენი სამშობლოს ყველა რესპუბლიკის ახალგაზრდა მხატვართა შემოქმედებას, — თქვა გამოფენის გახსნისას სსრ კავშირის სახალხო მხატვარმა უ. ჯაფარიძემ.— გვახარებს ახალგაზრდების ოსტატობის მაღალი დონე, მათი მისწრაფება — სერიოზულად გაიაზრონ დღევანდელობა, აქტიურად ეძიონ მაღალი მოქალაქეობრივი ჟღერადობის თემები.

ვერნისაჟზე გამოვიდნენ სსრ კავშირის სამხატვრო აკადემიის ახალგაზრდა მხატვრებთან მუშაობის კომისიის თავმჯდომარე, სსრ კავშირის სახალხო მხატვარი ა. გრიცაი, სსრ კავშირის სამხატვრო აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, საქართველოს სახალხო მხატვარი გ. თოთიბაძე, საქართველოს მხატვართა კავშირის გამგეობის მდივანი დ. თაყაიშვილი.

გამოფენის გახსნას დაესწრო საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი გ. ენუქიძე. (საქინფორმი).

# ყაბახი

## ფეხბურთის ამბები

**ᲑᲠᲘᲣᲡᲔᲚᲘ.** ბელგიის ნაკრების ფეხბურთელებმა, რომლებიც მეორე ქვეჯგუფში გამოდიან, 1982 წლის მსოფლიო ჩემპიონატის შერჩევითი ტურნირის მორიგ მატჩში დაამარცხეს კვიპროსის გუნდი — 3:2.

**ᲛᲐᲓᲠᲘᲓᲘ.** ესპანეთისა და საფრანგეთის ფეხბურთელთა ნაკრების გუნდების ამხანაგურ შეხვედრაში ესპანელი თავდამსხმელის ხუანიტოს მიერ თამაშის 87-ე წუთზე თერთმეტმეტრიანი საჯარიმოთი გატანილი გოლი ერთადერთი იყო ამ მატჩში.

## პოპულარობა ბიზნესისათვის

**1980 ᲬᲔᲚᲡ** ინგლისის ტელევიზიის გადაცემათა სპორტულ პროგრამებში ყველაზე მეტი დრო — 369 საათი და 45 წუთი დაეთმო კრიკეტს, ხოლო ცხენოსნობას — 290 საათი და 28 წუთი. ამ მხრივ ფეხბურთი მესამე ადგილზე აღმოჩნდა — 215 საათი და 5 წუთი. ეს ცნობები გამოქვეყნებულია ლონდონში გამოცემულ სპეციალურ მიმოხილვაში.

ამ მიმოხილვის მთავარი მიზანი ის არის, რომ ფირმებს დაეხმაროს მათი პროდუქციისა და სავაჭრო ღირსების რეკლამაში. ერთი სიტყვით, მიმოხილვა ფირმებს საშუალებას აძლევს აირჩიოს ყველაზე პოპულარულ სახეობათა სპორტი.

## ი. გ. ზურაშვილი



გარდაიცვალა სკკპ წევრი 1948 წლიდან, სოფელ შრომის კოლმეურნეობა „ლენინის ანდერძის“ წევრი, სოციალისტური შრომის გმირი, დიდი სამამულო ომის მონაწილე, საკავშირო მნიშვნელობის პერსონალური პენსიონერი **ი. გ. ზურაშვილი.**

იოსებ გიორგის ძე ზურაშვილი დაიბადა 1902 წელს სიღნაღის მაზრის სოფელ მირზაანში, გლეხის ოჯახში. იგი ბავშვობიდანვე ჩაება შრომით საქმიანობაში და აქტიური მონაწილეობა მიიღო ლაგოდეხის რაიონის სოფელ შრომის კოლმეურნეობა „წინსვლის“ ჩამოყალიბებაში.

1928 წლიდან პენსიაში გასვლამდე ი. გ. ზურაშვილი იყო სოფელ შრომის კოლმეურნეობა „ლენინის ანდერძის“ რიგითი წევრი, ბრიგადირი.

1948 წელს სიმინდის უხვი მოსავლის მიღებისათვის ი. გ. ზურაშვილს მიენიჭა სოციალისტური შრომის გმირის წოდება.

უმწიკვლო, სოფლის კეთილდღეობისათვის თავდადებული ადამიანის, ახალგაზრდობის დამრიგებლის ი. გ. ზურაშვილის ხსოვნა მარად იცოცხლებს მისი ამხანაგებისა და მეგობრების გულში.

**ᲐᲛᲮᲐᲜᲐᲒᲔᲑᲘᲡ ᲯᲒᲣᲤᲘ.**

რედაქტორი
გ. ბედინეიშვილი.

## ჩვენი ცნობარი: განცხადება, რეკლამა, ინფორმაცია

# ცისფერ ეკრანზე

## საქართველოს ტელევიზიის ერთი კვირის პროგრამა



### 23 თებერვალი

**პირველი პროგრამით:** 09.00 — „ვრემია“ (მ.), 09.40 — „ჩვენს დიად სამშობლოში“. სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „საზეიმოდ ვდებ ფიცს“, 10.05 — „მოამბე“, 10.35 — ქართული სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „მექანიზატორი“, 10.50 საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის 26-ე ყრილობის გახსნა. ტრანსლაცია კრემლის ყრილობათა სასახლიდან, 18.05 — კონცერტი — „შენ გიმღერი, სამშობლოვ!“, 18.30 — ლიტერატურული გადაცემა, „შინ მოუსვლელო, სადა ხარ“..., 19.30 — „მოამბე“, 20.00 — ფეხბურთი სსრ კავშირის თასზე. ლენინგრადის „ზენიტი“ — ქუთაისის „ტორპედო“. ტრანსლაცია ლენინგრადიდან, 21.45 — „დღეს საბჭოთა არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის დღეა“. (სტუდიაშია გენერალ-ლეიტენანტი ვ. ქ. კირილიუკი). 22.00 — „ვრემია“ (მ.).

**მეორე პროგრამით:** 18.30 — მოსწავლეთათვის — საქართველოს ისტორია, 19.00 — მულტიპლიკაციური ფილმი, 19.10 — სტუდენტებისათვის — ფილოსოფია.

### 24 თებერვალი

**პირველი პროგრამით:** 09.00 — „ვრემია“ (მ.), 11.05 — „მოამბე“, 11.35 — მხატვრული ფილმი „ხუთი საღამო“, 13.10 — აბიტურიენტთათვის — ქართული ენა, 15.30 — „სკკპ 26-ე ყრილობაზე“ (მ.), 16.00 — განცხადებები, 16.05 — შევისწავლოთ ინგლისური ენა, 16.35 — სატელევიზიო მხატვრული ფილმი „მზიური“, 18.00 — „სკკპ 26-ე ყრილობის დღიური“ (მ.), 18.30 — „ახალგაზრდა შემოქმედთა სატელევიზიო კლუბი“ — „მღერის ფაზისი“, 19.20 — კინონარკვევი „ჩემი დაღესტანი“, 19.45 — „დღეს მსოფლიოში“ (მ.), 20.00 — „მოამბე“, 20.30 — „სიმღერა, ლექსი, სამშობლო“, 21.20 — მოკლემეტრაჟიანი ქართული მხატვრული ფილმი, 21.50 — კინონარკვევი, 22.00 — „ვრემია“ (მ.), 23.00 — პოლიტიკური სიმღერის საღამო ოსტანკინოს საკონცერტო სტუდიაში (მ.). შესვენების დროს — „მოამბე“ (ღამის გამოშვება).

**მეორე პროგრამით:** 18.15 — რუსული სკოლის მოსწავლეთათვის — ფიზიკა, 18.45 — განცხადებები, 18.50 — მულტიპლიკაციური ფილმი, 19.05 — სტუდენტებისათვის — თეორიული მექანიკა.

### 25 თებერვალი

**პირველი პროგრამით:** 09.00 — „ვრემია“ (მ.), 10.05 — ქართული სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „ყოველი გოჯი“, 10.30 — „მოამბე“, 11.00 — კონცერტი, 11.30 — „სკკპ 26-ე ყრილობაზე“ (მ.), 12.30 — მულტიპლიკაციური ფილმი, 13.00 — ტელეკურსი მათემატიკაში, 15.00 — „სკკპ 26-ე ყრილობაზე“ (მ.), 16.00 — ქართული მულტიპლიკაციური ფილმები, 16.45 — „ლენინი და საქართველო“, 17.10 — ლიტერატურული გადაცემა „ჩვენი სტუმრები“, 18.00 — „სკკპ 26-ე ყრილობის დღიური“ (მ.), 18.30 — „60 ჰეროიკული წელი“ — ქართული მხატვრული ფილმი, 19.45 — „დღეს მსოფლიოში“ (მ.), 20.00 — „მოამბე“, 20.30 — ქართული ხალხური სიმღერები, 20.55 — ქართული სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი-მატიანე „საქართველო, წელი — 80“. პრემიერა, 22.00 — „ვრემია“ (მ.), 23.00 — საქართველოს ხელოვნების ოსტატთა კონცერტი, 23.45 — „მოამბე“ (ღამის გამოშვება).

**მეორე პროგრამით:** 18.05 — სტუდენტებისათვის — მასალათა გამძლეობა, 18.50 — განცხადებები, 18.55 — ქართული სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „ბავშვთა ნახატების გამოფენა“, 19.10 — მოსწავლეთათვის — სსრ კავშირის ისტორია.

### 26 თებერვალი

**პირველი პროგრამით:** 09.00 — „ვრემია“ (მ.), 10.05 — კინონარკვევი, 10.15 — „მოამბე“, 10.45 — „დრო მიჰქრის და არ იცდის“ — სანდრო შანშიაშვილი (განმეორებით), 11.15 — „ჩვენს დიად სამშობლოში“ — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „ყველა ჩემი ვაჟიშვილი“, 11.30 — ქართული მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „არლანი“, 12.50 — კინონარკვევი, 13.00 — ტელეკურსი ფიზიკაში, 13.30 — აბიტურიენტთათვის — ბიოლოგია, 15.30 — „სკკპ 26-ე ყრილობაზე“ (მ.), 16.00 — მოსწავლეთათვის — „ცვლა“, 16.30 — კორაჩის თასზე კალათბურთში. მოსკოვის „დინამო“ — იტალიის „კარერა“. ნახევარფინალი (მ.), 17.15 — მულტფილმები, 18.00 — „სკკპ 26-ე ყრილობის დღიური“ (მ.), 18.30 — ქართული ხალხური ცეკვის სახელმწიფო აკადემიური დამსახურებული ანსამბლის კონცერტი (მ.), 19.15 „წარდგენილია რუსთაველის პრემიაზე, 20.00 — „მოამბე“, 20.30 — „თეატრი ყრილობას“ — „სცენაზეა ჩვენი თანამედროვე“, 22.00 — „ვრემია“ (მ.), 23.00 — კინონარკვევი, 23.10 — „მოამბე“ (ღამის გამოშვება).

**მეორე პროგრამით:** 18.15 — მოსწავლეთათვის — ქართული ენა, 18.45 — განცხადებები, 18.50 — მულტიპლიკაციური ფილმი, 19.05 — სტუდენტებისათვის — მექანიზმებისა და მანქანების თეორია.

### 27 თებერვალი

**პირველი პროგრამით:** 09.00 — „ვრემია“ (მ.), 10.05 — მულტიპლიკაციური ფილმი, 10.15 — „მოამბე“, 10.45 — „საჭადრაკო სკოლა“ (მ.), 11.30 — „სკკპ 26-ე ყრილობაზე“ (მ.), 12.30 — მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი — „გაზაფხულის გრძელი დღე“, 13.00 — სტუდენტებისათვის — უმაღლესი მათემატიკა, 15.30 — „სკკპ 26-ე ყრილობაზე“ (მ.), 16.00 — ბავშვებისათვის — მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „არაჩვეულებრივი კვირადღე“, 17.00 — შევისწავლოთ ფრანგული ენა, 17.30 — კალათბურთი ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასზე. ცსკა — ესპანეთის „რეალი“ (მ.), 18.00 — „სკკპ 26-ე ყრილობის დღიური“ (მ.), 18.30 — გადაცემა მოსწავლეთათვის, 19.40 — მუსიკალური შესვენება, 19.45 — „დღეს მსოფლიოში“ (მ.), 20.00 — „მოამბე“, 20.30 — „თქვენი თხოვნით“ — საესტრადო კონცერტი, 21.20 — „სპორტული კალეიდოსკოპი“, 22.00 — „ვრემია“ (მ.), 23.40 — კინონარკვევი, 23.50 — „მოამბე“ (ღამის გამოშვება).

**მეორე პროგრამით:** 18.15 — მოსწავლეთათვის — ფიზიკა, 18.45 — განცხადებები, 18.50 — „ჩვენს დიად სამშობლოში“ — [illegible] დოკუმენტური ფილმი [illegible] 19.05 — [illegible] თი — ხაზვა.

### 28 თებერვალი

**პირველი პროგრამით:** 09.00 — „ვრემია“ (მ.), 09.45 — მულტიპლიკაციური ფილმები, 10.25 — „მოამბე“, 10.55 — „ჩვენ კომუნიზმს ვაშენებთ“ — რეპორტაჟი საკავშირო სამხატვრო გამოფენიდან (მ.), 11.30 — „სკკპ 26-ე ყრილობაზე“ (მ.), 12.30 — შევისწავლოთ ქართული ენა, 13.00 — „ჩვენი სოფელი“ — სატელევიზიო პროგრამა, 14.00 — პირველად ჩვენს ეკრანზე. მხატვრული ფილმი „სასწრაფო გამოძახება“, 15.30 — „სკკპ 26-ე ყრილობაზე“ (მ.), 16.00 — გადაცემა საბჭოთა არმიის მეომრებისათვის, 16.45 — „ცეროდენას ეკრანი“, 17.15 — „ჯანმრთელობა“ — სატელევიზიო პროგრამა, 17.45 — „დელეგატის ჩანაწერები“, 18.00 — „სკკპ 26-ე ყრილობის დღიური“ (მ.), 18.30 — „ვერნისაჟი“, 19.20 — კინონარკვევი, 19.30 — „მოამბე“, 20.00 — კონცერტი სკკპ 26-ე ყრილობის დელეგატებისათვის. ტრანსლაცია კრემლის ყრილობათა სასახლიდან, 22.00 — „ვრემია“ (მ.), 23.00 — კონცერტი — „ძმობის სიმღერა“.

### 1 მარტი

**პირველი პროგრამით:** 09.00 — „ვრემია“ (მ.), 10.05 — კინონარკვევი, 10.15 — „მოამბე“, 10.45 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „ბუნების პირველი სუნთქვა“, 11.00 — „სამეურნეო მექანიზმი — სიახლენი, პრობლემები“, 11.45 — „ცეროდენას ეკრანი“, 12.00 — „ლაპარაკობენ ყრილობის დელეგატები“ (მ.), 12.45 — შევისწავლოთ რუსული ენა, 13.15 — „კინოაფიშა“, 13.45 — ტელეკურსელთათვის — ქართული ენა და ლიტერატურა (სტუდიაშია დოცენტი თ. კვაჭანტირაძე), 14.15 — „ვესტნიკი“, 14.45 — ქართული სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „მიწისქვეშა სასახლე“, 15.00 — დოკუმენტური ფილმი „მეგობრობის ვიზიტი. ბაბრაკ ქარმალი საბჭოთა კავშირში“, მიძღვნილი რსფსრ-სა და ავღანეთს შორის მეგობრული ურთიერთობის ხელშეკრულების დადების მე-60 წლისთავისადმი (მ.), 15.20 — „ილუზიონი“, 17.00 — „ახალგაზრდობა“ — სატელევიზიო პროგრამა, 18.00 — „კინომოგზაურობის კლუბი“ (მ.), 19.00 — „საერთაშორისო პანორამა“ (მ.), 19.45 — „ყრილობიდან ყრილობამდე“ — „ხუთწლედის კინომატიანე“, 20.30 — მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი, 21.00 — „მოამბე“, 21.30 — „თვალთაი“, 22.00 — „ვრემია“ (მ.), 22.45 — კონცერტი, 23.25 — საფეხბურთო მიმოხილვა (მ.).

# რა მოვისმინოთ

## საქართველოს რადიოს ერთი კვირის პროგრამა



### 23 თებერვალი

**პირველი პროგრამით:** 06.08 — უკანასკნელი ცნობები, 06.38 — ჩვენი მთა-ბარის ჰანგები, 06.50 — „სოფლის დილა“, 07.31 — „ვუმღერთ სამშობლოს“. კონცერტი, 08.00 — გაზეთ „პრავდის“ მიმოხილვა (მ.), 08.15 — „პიკის საათი“. საინფორმაციო-მუსიკალური პროგრამა, 09.25 — სიმღერები პარტიაზე (მ.), 10.15 — საბჭოთა პოეტების ლექსები (მ.), 10.35 — სიმფონიური მუსიკა (მ.), 10.50 — საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის 26-ე ყრილობის გახსნის ტრანსლაცია კრემლის ყრილობათა სასახლიდან. დასასრულს კონცერტი. 16.00 — ყრილობის დღიური. უკანასკნელი ცნობები (მ.), 16.30 — „წლები და სიმღერები“. კონცერტი (მ.), 17.00 — უკანასკნელი ცნობები, 17.15 — მოსწავლეთათვის — რადიოდადგმა „ლილეო მთებში“, 18.00 — სკკპ 26-ე ყრილობაზე. უკანასკნელი ცნობები (მ.), 18.15 — „შუქი მომავლის მანათობელი!“ ლიტერატურულ-მუსიკალური კომპოზიცია, 18.45 — „მშობლიურო ჩემო მიწავ“!, კონცერტი, 19.15—„ცეცხლის ყვავილები“ ლექსები სამამულო ომზე. 19.40— ქართული კამერულ-ინსტრუმენტული მუსიკის კონცერტი, 20.00 — ყრილობის დღიური. უკანასკნელი ცნობები (მ.), 21.30 — საბჭოთა არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის დღისადმი მიძღვნილი კონცერტი (მ.), 22.20 — მსუბუქი მუსიკა, 23.00 — სკკპ 26-ე ყრილობაზე. უკანასკნელი ცნობები (მ.).

### 24 თებერვალი

**პირველი პროგრამით:** 06.08 — უკანასკნელი ცნობები, 06.38 — ჩვენი მთა-ბარის ჰანგები. 06.50 — „სოფლის დილა“, 07.31 — დილის კონცერტი, 08.00 — გაზეთ „პრავდის“ მიმოხილვა (მ.), 08.37 — მელოდიიდან მელოდიამდე, 09.25 — ქართული რესპუბლიკური გაზეთების მიმოხილვა, 09.37 — რუსული რესპუბლიკური გაზეთების ფურცლებზე, 09.45 — ქართული საორკესტრო პიესები, 10.00 — სკკპ 26-ე ყრილობის მასალები. დასასრულს საბჭოთა ხელოვნების ოსტატთა კონცერტი (მ.), 16.00 — ყრილობის დღიური. უკანასკნელი ცნობები (მ.), 16.30 — წლები და სიმღერები — კონცერტი (მ.), 17.00 — უკანასკნელი ცნობები, 17.15 — რ. ლაღიძის სიმღერები, 17.35 — მოსწავლეთათვის — კონცერტი — „თქვენი თხოვნით, მეგობრებო“, 18.00 — სკკპ 26-ე ყრილობაზე. უკანასკნელი ცნობები (მ.), 18.15 — მელოდია, რიტმი, განწყობილება, 19.10 — შ. ნიშნიანიძის ლექსები, 19.40 — უკრავს ლ. თორაძე, 20.00 — ყრილობის დღიური. უკანასკნელი ცნობები (მ.), 20.30— „ძმაო, ძმითა ხარ ძლიერი“ — საბჭოთა პოეტების ლექსები, 21.00 — კონცერტი სკკპ 26-ე ყრილობის დელეგატთა თხოვნით (მ.), 21.45 — რადიოსადგური „სიჭაბუკე“, 22.15 — სსრ კავშირის პირველობა ხელბურთში: თბილისის „ბურევესტნიკი“ — ლვოვის ასკ. რეპორტაჟი მინსკიდან, 23.00 — სკკპ 26-ე ყრილობაზე. უკანასკნელი ცნობები (მ.), 23.40 — პოპულარული ქართული მუსიკის კონცერტი.

### 25 თებერვალი

**პირველი პროგრამით:** 06.08 — უკანასკნელი ცნობები, 06.38 — ჩვენი მთა-ბარის ჰანგები, 06.50 — სოფლის დილა. 07.31 — დილის კონცერტი, 08.00 — გაზეთ „პრავდის“ მიმოხილვა (მ.), 08.37 — „ეს სიმღერაა საქართველოსი“. კონცერტი, 09.25 — ქართული რესპუბლიკური გაზეთების მიმოხილვა, 09.37— რუსული რესპუბლიკურ. გაზეთების ფურცლებზე, 09.45 — [illegible] მღერის საქართველოს რადიოსა და ტელევიზიის ვაჟთა ვოკალური ანსამბლი, 10.00 — სკკპ 26-ე ყრილობის მასალები (მ.), 11.00 — სკკპ 26-ე ყრილობაზე. უკანასკნელი ცნობები (მ.), 11.15 — ჩვენ პოეტები საქართველოსი! 11.30 — სკკპ 26-ე ყრილობაზე. უკანასკნელი ცნობები (მ.), 12.15 — ხალხური სიმღერები, 12.30 — გ. ლეონიძე. „საბჭოთა საქართველოს გაზაფხული“. კითხულობს ი. მანჯგალაძე, 13.00 — „დრო, მოვლენები, ადამიანები“, სკკპ 26-ე ყრილობაზე (მ.), 13.40 — აფხაზ კომპოზიტორთა ნაწარმოებები, 14.00 — ი. აბაშიძის ლექსები, 14.15 — „იდიდე მარად, ჩემო სამშობლოვ!“. მუსიკალური კომპოზიცია, 15.00 — სკკპ 26-ე ყრილობაზე. უკანასკნელი ცნობები (მ.), 16.00 — ყრილობის დღიური. უკანასკნელი ცნობები (მ.), 16.30 — „წლები და სიმღერები“ — კონცერტი (მ.), 17.00 — უკანასკნელი ცნობები, 17.10 — მ. ქასრაშვილისა და ზ. სოტკილავას კონცერტი, 17.40 — ყველაზე პატარებისათვის — რადიოსადგური „ციცინათელა“. 18.00 — სკკპ 26-ე ყრილობაზე. უკანასკნელი ცნობები (მ.), 18.15 — მელოდია, რიტმი, განწყობილება, 19.00 — საქართველოს რადიოსა და ტელევიზიის სიმფონიური ორკესტრის კონცერტი. სოლისტები ც. ტატიშვილი, ნ. ანდღულაძე (მ.), 19.40 — „ჩვენი პრემიერა“ ვ. აზარაშვილის საკვარტეტო მინიატიურები ციკლიდან „მშობლიური სურათები“, 20.00 — ყრილობის დღიური. უკანასკნელი ცნობები (მ.), 21.00 — ძილისპირული“, 21.15 — ახალგაზრდობისათვის — „გათენდა, ცეცხლის მზე აენთო!“ — რადიოკომპოზიცია, 21.30 — ქართული ეკრანის მელოდიები. 22.00 — მსუბუქი მუსიკა, 22.15 — სსრ კავშირის პირველობა ხელბურთში. თბილისის „ბურევესტნიკი“ — რიგის „ცელტნიეკსი“. რეპორტაჟი მინსკიდან, 23.00 — სკკპ 26-ე ყრილობაზე. უკანასკნელი ცნობები (მ.), 23.40 — მღერის ანსამბლი „რუსთავი“, 23.55 — უკანასკნელი ცნობები.

### 26 თებერვალი

**პირველი პროგრამით:** 06.08 — უკანასკნელი ცნობები, 06.38 — ჩვენი მთა-ბარის ჰანგები, 06.50 — „სოფლის დილა“, 07.30 — რადიოგაზეთი „საქართველოს პიონერი“, 08.00 — გაზეთ „პრავდის“ მიმოხილვა (მ.), 08.37 — მელოდიიდან მელოდიამდე, 09.25 — ქართული რესპუბლიკური გაზეთების მიმოხილვა, 09.37 — რუსული რესპუბლიკური გაზეთების ფურცლებზე, 09.45 — „სიტყვა, სიმღერით ნათქვამი“. კონცერტი, 10.00 — სკკპ 26-ე ყრილობის მასალები (მ.), 11.00 — სკკპ 26-ე ყრილობაზე. უკანასკნელი ცნობები (მ.), 11.15 — ქართული ხალხური სიმღერები, 11.30 — სკკპ 26-ე ყრილობაზე. უკანასკნელი ცნობები (მ.), 12.15 — ა. მაჭავარიანის საფორტეპიანო პიესები, 12.25 — „სცენის ოსტატები“, 12.45 — კომენტარი საერთაშორისო თემაზე, 12.50 — მღერის „ცისფერი ტრიო“, 13.00 — „დრო, მოვლენები, ადამიანები“. სკკპ 26-ე ყრილობაზე (მ.), 13.40 — ს. მირიანაშვილის სიმღერები. 14.00 — „ძმაო, ძმითა ხარ ძლიერი“ — საბჭოთა პოეტების ლექსები, 14.10 — ქართული საოპერო მუსიკის კონცერტი, 15.00 — სკკპ 26-ე ყრილობაზე. უკანასკნელი ცნობები (მ.), 16.00 — ყრილობის დღიური. უკანასკნელი ცნობები (მ.), 16.30 — „წლები და სიმღერები“ — კონცერტი (მ), 17.00 — უკანასკნელი ცნობები, 17.15 — უკრავს მ. იაშვილი, 17.35 — მოსწავლეთათვის — რადიონარკვევი „ჩვენი გულიზარი“, 18.00 — სკკპ 26-ე ყრილობაზე. უკანასკნელი ცნობები (მ.), 18.15 — მელოდია, რიტმი, განწყობილება. 19.00 — ს. ცინცაძე. კამერულ-ინსტრუმენტული პიესები, 19.40 — ა. პახმუტოვას სიმღერები, 20.00 — ყრილობის დღიური. უკანასკნელი ცნობები (მ.), 21.00 — „ძილისპირული“, 21.15 — „როცა გულს ემღერება“ — მუსიკალური რადიოკომპოზიცია, 23.00 — სკკპ 26-ე ყრილობაზე. უკანასკნელი ცნობები (მ.), 23.40 — საღამოს მელოდიები, 23.55 — უკანასკნელი ცნობები,

### 27 თებერვალი

**პირველი პროგრამით:** 06.08 — უკანასკნელი ცნობები, 06.38 — ჩვენი მთა-ბარის ჰანგები, 06.50 — სოფლის დილა, 07.31 — დილის კონცერტი. 08.00 — გაზეთ „პრავდის“ მიმოხილვა (მ.), 08.37 — მელოდიიდან მელოდიამდე, 09.25 — ქართული რესპუბლიკური გაზეთების მიმოხილვა, 09.37 — რუსული რესპუბლიკური გაზეთების ფურცლებზე, 09.45 — ქართული საბალეტო მუსიკა, 10.00 — სკკპ 26-ე ყრილობის მასალები (მ.), 10.50 — ხალხური მელოდიები (მ.), 11.00 — სკკპ 26-ე ყრილობაზე. უკანასკნელი ცნობები (მ.), 11.20 — ა. მირცხულავას ლექსები, 11.30 — სკკპ 26-ე ყრილობაზე. უკანასკნელი ცნობები (მ.), 12.15 — უკრავს ე. ვირსალაძე, 12.30 — კომენტარი საერთაშორისო თემაზე, 12.35 — მუსიკალური პროგრამა „შეხვედრები მიკროფონთან“. 13.00 — „დრო, მოვლენები, ადამიანები“. სკკპ 26-ე ყრილობაზე (მ.), 14.00 — ვ. ზაქრუტკინი. „კაცობრიობის დედა“. რადიოდადგმა, 14.30 — ი. ბობოხიძის სიმღერები, 15.00 — სკკპ 26-ე ყრილობაზე. უკანასკნელი ცნობები (მ.), 16.00 — ყრილობის დღიური. უკანასკნელი ცნობები (მ.), 16.30 — „წლები და სიმღერები“ (მ.), 17.00 — უკანასკნელი ცნობები, 17.15 — „ახალგაზრდების შემოქმედება“. უკრავს თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის კამერული ორკესტრი, 17.40 — მოსწავლეთათვის — „მღერის ქალაქი, მღერის სოფელი“ — ქართველი პოეტების ლექსები, 18.00 — სკკპ 26-ე ყრილობაზე. უკანასკნელი ცნობები (მ.). 18.15 — „ლექსო ნუ დაიკარგები“, 18.45 — კონცერტი ა. ბალანჩივაძის ნაწარმოებებიდან, 19.45 — მღერის საქართველოს სახელმწიფო ანსამბლი, 20.00 — ყრილობის დღიური. უკანასკნელი ცნობები (მ.), 21.00 — ძილისპირული, 21.15 — საბჭოთა ხელოვნების ოსტატთა კონცერტი, 22.00 — „სცენები სპექტაკლებიდან“, 23.00 — სკკპ 26-ე ყრილობაზე. უკანასკნელი ცნობები (მ.).

### 28 თებერვალი

**პირველი პროგრამით:** 06.08 — უკანასკნელი ცნობები, 06.38 — ჩვენი მთა-ბარის ჰანგები, 06.50 — სოფლის დილა, 07.30 — რადიოგაზეთი „საქართველოს პიონერი“, 08.00 — გაზეთ „პრავდის“ მიმოხილვა (მ.), 08.37 — მელოდიიდან მელოდიამდე. 09.25 — ქართული რესპუბლიკური გაზეთების მიმოხილვა, 09.37 — რუსული რესპუბლიკური გაზეთების ფურცლებზე, 09.45 — სკკპ 26-ე ყრილობის მასალები (მ.), 11.00 — სკკპ 26-ე ყრილობაზე. [illegible]

### 1 მარტი

[illegible]

# ქ. თბილისის № 27 ტექნიკური სასწავლებელი

## აცხადებს მოსწავლეთა მიღებას 1981/82 სასწავლო წლისათვის შემდეგ სპეციალობებზე:

**1. ფეხსაცმლის ზედაპირის მკერავი,**

**2. ფეხსაცმლის შემკერი ნაკადის ოსტატის კვალიფიკაციით,**

**3. ზეინკალ-შემკეთებელი ფეხსაცმლის წარმოებისათვის.**

**სასწავლებელში მიიღებიან** საშუალო განათლების მქონე ქალიშვილები და ჭაბუკები.

სასწავლებელში ჩარიცხული მოსწავლეები მიიღებენ სტიპენდიას 70-77 მანეთის ოდენობით და საწარმოო და პრაქტიკის პერიოდში გამომუშავებული თანხის 50 პროცენტს.

საბჭოთა არმიის რიგებიდან დემობილიზებული ახალგაზრდებისათვის სწავლების ვადა 7,5 თვეა.

მოსწავლე გოგონები ძირითად სპეციალობასთან ერთად შეისწავლიან ქალის მსუბუქი კაბის კერვასა და მდივან-მემანქანეობას.

**სასწავლებელში სწავლების ვადა 10,5 თვეა.**

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1980 წლის 11 აპრილის № 296 დადგენილების თანახმად სასწავლებლის კურსდამთავრებულნი, რომლებიც მიიღებენ წარჩინების დიპლომს, უმაღლეს სასწავლებელში შესვლის დროს სარგებლობენ იმ უპირატესობით, რომელიც დადგენილია ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლის მედალოსანთათვის.

წარჩინებით კურსდამთავრებულები, რომლებიც შედიან უმაღლეს სასწავლებელში მონათესავე სპეციალობაზე წარმოებას მოუწყვეტლივ, მისაღებ გამოცდებზე თუ მიიღებენ დადებითს შეფასებას, ჩაირიცხებიან უკონკურსოდ.

სასწავლებლის დამთავრების შემდეგ კურსდამთავრებულებს ენიჭებათ კვალიფიკაცია და ეძლევათ დიპლომი. ისინი უზრუნველყოფილი იქნებიან სამუშაო ადგილით პროფესიის და თანრიგის შესაბამისად.

სწავლება სასწავლებელში წარმოებს ქართულ და რუსულ ენებზე.

განცხადება უნდა შემოიტანოთ დირექტორის სახელზე და დაურთოთ შემდეგი საბუთები: 1. საშუალო განათლების ატესტატი (დედანი); 2. სამედიცინო ცნობა (ფორმა № 286); 3. ცნობა საცხოვრებელი ადგილიდან; 4. 6 ფოტოსურათი (3X4); 5. დახასიათება.

**სწავლა დაიწყება 1 მარტს.**

სასწავლებელში შემსვლელმა უნდა წარმოადგინოს პირადად დაბადების მოწმობა, პასპორტი, სამხედრო ბილეთი ან მიწერის მოწმობა.

**საბუთები მიიღება ყოველდღე 9-დან 17 საათამდე.**

**ᲡᲐᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲚᲘᲡ ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲘᲐ: ქ. თბილისი, ბ. ხმელნიცკის ქ. № 42.** ტრანსპორტი: მეტროს სადგურ „ისნიდან“ — ტრამვაი № 7, ავტობუსი № 51, ლენინის მოედნიდან — სამარშრუტო ტაქსი № 10 და ავტობუსი № 16. ტელეფონი: 74-34-67.

### [illegible] 20 თებერვალი

[illegible]

### [illegible] 20 თებერვალი

[illegible]